„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2009 წ. ოქტომბერი* №22 * ფასი 1 ლარი







როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე? გვ.3

კაცობრიობავ, უფრთხილდი რუსულ-ალანურ კავშირს გვ.4-5

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბრძოლა ეკლესიის სიწმინდისა და მართლმადიდებლობის დაცვისთვის გვ.7

## ოპოზიციის გაერთიანების იდეის სრული კრახი და გაწბილებული ხალხი

ლეილა ცომაია



„საკნების ქალაქის“ ხანგრძლივი აქციის შემდგომ, ოპოზიციის მიერ აღებულმა მთელი ზაფხულის არდადეგებმა, შემოდგომის გრილი თვეებიც სრულად მოიცვა და ჯერაც არ ქრის იმედის ქარი; ყველა ლიდერი საკუთარ ორპირობაში, ორგულობაში და შეთქმულებაში მდუმარებს. დრო-ჟამის მწიფობას ელოდება, რომ ამოაცოდვილოს სათქმელი. აკი, ერთ-ერთ მათგანს – გია გაჩეჩილაძეს - უკვე ამოუცოდვილებია-კიდეც!

ლეიბორისტ სოსო შატბერაშვილის მტკიცებით: „... ძმები ლევან და გია გაჩეჩილაძეები, რომლებიც ხან „შოპინგებზე“ ხვდებოდნენ მიშას მიუნხენში, ხანაც - შავნაბადაზე, ხან ტელეფონით ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს. „უცნობმა“ თავად განაცხადა, იპოდრომის აქციის დროს მირეკავდა მიშა და მეხვეწებოდა, ხალხი არ დაძრაო, ასეც მოვიქეცი, მაგრამ მომატყუა და სანაცვლოდ მიწის ნაკვეთი არ მომცა კუს ტბის ტერიტორიაზეო“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2009 წლის 24-30 აგვისტო, გვ, 23, სოსო შატბერაშვილის ინტერვიუ, მე-4 სვეტის ბოლო აბზაცი).

უთუოდ, ამგვარი „საიდუმლო გარიგების“ შედეგი იყო ძმები გაჩეჩილაძეების ლიდერობით 26 მაისს „დინამოს“ სტადიონიდან ასი ათასი მომიტინგის დაძვრა სამების ეკლესიისაკენ და არა, რუსთაველზე, ან ავლაბრის რეზიდენ-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

ციისკენ, რამაც გონს მოგებული მოტყუებული ხალხის სრულიად სამართლიანი განრისხება გამოიწვია ლიდერთა მიმართ და რაც, სალომე ზურაბიშვილმა და დავით გამყრელიძემ ცენტრალური ვაგზლის რკინიგზის ერთსაათიანი გადაკეტვით გაანელეს. მომიტინგეთა მდუღარე გულებში დაგუბებული ორთქლი ქშუილით ამოუშვეს, რითაც შვება მიჰგვარეს ხალხს და საკუთარ თავსაც.

ძმები გაჩეჩილაძეები კი არსად ჩანდნენ, უმისამართოდ გამქრალიყვნენ.

ერთიანობის იდეა მარადიული ფასეულობაა, მას ალტერნატივა არა აქვს და საკამათოც არ არის! ჩვენ ამაზე არასოდეს გვიკამათია და არც არასდროს ვაპირებთ კამათს. ჩვენ სულ სხვა რამეზე მივაპყრობდით ხალხის ყურადღებას და მივაპყრობთ დღესაც. ესაა - ერთი გამოკვეთილი ლიდერის აუცილებლობა, გულწრფელობისა და ნდობის პრობლემა. ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებში სკოლაგავლილი „ავტორიტეტები“, დემაგოგიურად „ბელადომანებს“ გვიწოდებდნენ და მით გვამუნათებდნენ.

სხვადასხვა ჯურის საერთაშორისო ორგანიზაციების მესვეურებს, რომლებიც КГБ, СРУ-სა და ГРУ-ს ინსტრუქტაჟითა და სტრატეგიით მოქმედებენ, დღემდე ვერ მოუნელებიათ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვა ანტისაბჭოთა დისიდენტების მსგავსი პოლიტიკური ლიდერის მოძლიერება და გამოჩენა. ისინი დაინტერებული არიან, თავად შექმნან პოლიტიკური და არასამთავრობო უფლებათა დაცვის ლიდერთა, რაც შეიძლება ფართო სპექტრი და დააბალანსონ ურთიერთობა მათთან. დააფინანსონ, ამოწმონ და არეგულირონ მათი ქმედებები.

ამადაც, საერთაშორისო ორგანიზაციების მესვეურები და თვით უცხოეთის სახელმწიფო მოხელეებიც ხშირად იწვევენ ოპოზიციონერ პოლიტიკურ ლიდერებს თავიანთ ქვეყნებში და თავადაც ხშირად ჩამოდიან საქართველოში მათთან კარსმიღმა სასაუბროდ. უცხოეთიდან შემოდინებული კაპიტალით მუშაობს ჩვენში მძლავრი პროპაგანდისტული მანქანაც: პრესის, რადიოსა და ტელეკომპანიების სახით, რომლის მეშვეობითაც გამოკვეთილი ლიდერის გაიგივება ხდება ბელადთან; ლენინ-სტალინის, მარქს-ენგელსის, ჰიტლერის და სხვა ტიპის მსოფლიო ტირანებთან, რათა ხალხში საიმედოდ ჩაკლან გამოკვეთილი ლიდერის ბუნებრივი მოთხოვნა. ხოლო იდეალური ისტორიული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელები და სახეები ისტორიის არსებული მონაკვეთის ხელოვნურად ამოგდებით - დაავიწყონ ხალხს.

თვით ოპოზიციური ტელეკომპანია (სინამდვილეში ფსევდო-ოპოზიციური) „კავკასიაც,“ რუსეთის დაკვეთით ამ მავნე იდეოლოგიაზე მუშაობს.

იქმნება სქელი და მასიური ჯაჭვით შეკრული წრე, რომელშიც მხოლოდ მათთვის საიმედო ოპოზიცურად განწყობილმა პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა იარსებონ. ნიშანდობლივია, რომ არსებული პოლიტიკური ლიდერები, საჯარო მიტინგებზე, შემორაგული ზღუდით, გამიჯნული არიან ხალხისგან. ეს სტრატეგიული ზღუდეა და იგი პრევენციულ ბარიერს ქმნის, ახალი თუ უცნობი ლიდერის გამოჩენის შემთხვევისათვის.

ჩვენ ვერასოდეს გავარღვიეთ ეს ზღუდე, რათა ორიოდ სიტყვით ჩვენც მივგემართა ხალხისთვის, პოპულარულმა ლიდერებმა მიკროფონებთან არასოდეს მიგვიშვეს „არასაიმედოობისა“ გამო, თუმცა, ყოველი მათგანისათვის ნაცნობები კი ვიყავით, მაგრამ **კარგად** ნაცნობები... ჩვენ მოუსყიდველი, მიუხმრობელი ოპოზიცია ვართ და ჩვენი მიუმხრობლობა მათაც აღიზიანებთ.



იმის გამო, რომ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში, მათი უუნარობისა გამო არ არსებობდა ხელისუფლების შეცვლის ერთიანი სერიოზული სამოქმედო გეგმა, საპროტესტო აქციების პერმანენტულობის მიუხედავად, ვერ იქნა დაძლეული, ვერც სახელისუფლო და ვერც პოლიტიკური კრიზისი. ერთიანი სამოქმედო გეგმისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში, სრული ანარქია სუფევდა. იქ შესაძლებელი იყო, ტრიბუნაზე უცაბედად შემოჭრილიყო ლექსადმომღერალი „უცნობი“ გაჩეჩილაძე და პოლიტიკურ ლიდერებთან შეუთანხმებლად, ემოციურ ფონზე ერთპიროვნულად მოეწოდებინა მომიტინგეებისათვის, მაგალითად, პოლიციის სამმართველოსთან მანიფესტაციით სვლისკენ, ხოლო თავად „ჯიპით“ წასძღოლოდა ხალხს და ა.შ, არ არსებობდა არც ეთიკისა და მორალის ერთიანი ნორმა; ყველა თავისუფალი იყო მოქმედებასა თუ გამოსვლებში და არც შეხვედრები იყო ურთიერთთან შეთანხმებული; ყველა დამოუკიდებლად წყვეტდა შეხვედროდა სააკაშვილს, შსს-სა თუ უშიშროების მინისტრს, რუსეთის ოფიციალურ პირებსა თუ საზღვარგარეთ გაქცეულ ქართველ სახელმწიფო დამნაშავეებს.

საკუთრივ მიეღოთ მათგან ფინანსები, ხოლო ოდენობა და წყაროც დახურუფლ-გასაიდუმლოვებული ყოფილიყო თანამებრძოლებისაგან, - არ არსებობდა საერთო ყულაბა.

ანუ, რეალურად ეს იყო „ფასადური“ გაერთიანება ხალხის საჩვენებლად და მოსატყუებლად.

შედეგად, ხალხს მოუწევს, სააკაშვილის საძულველი ხელისუფლების 2013 წლამდე იძულებით ატანა.

მანამდე კი, რევანშშისტული ოპოზიცია ხელახლა უნდა გაერთიანდეს, მაგრამ ეს აღარ იქნება „აპრობირებული“ აბსოლუტური გაერთიანება, არამედ - გაერთიანება მცირე ბლოკებად, რამეთუ წინ მერობისა და ადგილობრივი არჩევნები ელით. ნაკლები მოსალოდნელია, რომ მერობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ: ლევან გაჩეჩილაძემ, სალომე ზურაბიშვილმა, ნინო ბურჯანაძემ, ზურაბ ნოღაიდელმა და კონსტანტინე გამსახურდიამ. თუ ამ უკანასკნელმა საპარლამენტო მანდატის დაბრუნება და პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება საბოლოოდ მიიღო (შეგახსენებთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ, ოპოზიციიდან, პირველმაგანაცხადა უარი მანდატის უფლებით სარგებლობასა და პარლამენტში შესვლაზე), ეს უფრო იქნება პროტესტი თანამებრძოლ პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ, რომლებმაც იგი თავიანთ ორგანულ წევრად და, თუნდაც მცირედგამოხატული პატივით არ მიიღება, რისთვისაც, არც ერთ მათგანს არ ეყო პოლიტიკური კულტურა და სინდისი.

რაც არ უნდა თქვან კონსტანტინე გამსახურდიაზე, იგი თავისი წარმომავლობით, უმეტესი განათლებითა და კულტურით, არსებულ პოლიტიკურ ლიდერთაგან, განსხვავებულ მიდგომას ნამდვილად იმსახურებს და თუ ისინი ამგვარად არ აფასებენ მას, მხოლოდ საკუთარ შურს, ბოღმასა და ქონდრისკაცობას ავლენენ.

„არ შეერწყმების წყალი ნავთს...“

ქალაქის მერობის მოახლოებულ, მაგრამ ჯერ არდანიშნულ არჩევნებში, „ოპოზიციიდან“, თავისი კანდიდატურა უკვე წამოაყენა ირაკლი ალასანიამ, რითაც დანარჩენ ოპოზიციონერ ლიდერებს წინასწარ მიანიშნა ამ არჩევნებში თავის უპირატესობასა და საკუთარი კანდიდატურების წამოყენებისაგან თავშეკავებაზე.

ალასანიას მხრიდან ეს აშკარად რევანშისტული განაცხადია. აშკარაა, რომ ალასანიამ, დასავლეთისა და ევროპის სახელმწიფოთა წამხედურობით, მერობა უკვე პოლიტიკურ ტრამპლინად დაისახა. თავისი პოლიტიკური მამების მხრიდან მას გარანტირებული ექნება მხარდაჭერა საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

არსებული ვითარების მიუხედავად, ოპოზიცია არ უნდა დანებდეს და არამც და არამც არ დაუშვას პოლიტიკური პროცესების დასავლეთის სცენარით განვითარება ჩვენში.

ოპოზიციამ აქ უცილობლად უნდა გამოავლინოს ნიჭი, უნარი და სიქველე; მოიძიოს ალასანიაზე გაცილებით სანდო, ავტორიტეტული, პატრიოტი ენერგიული კანდიდატი თვით ერის წიაღიდან და ოპოზიციური კვოტით წამოაყენოს იგი.

ოპოზიციას ამ საკითხში ცალსახად მართებს მტკიცე ერთიანობა, რათა საქართველომ აიცილოს სააკაშვილის პროტოტიპი ალასანიას გრძელვადიანი საფრთხე.

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, ოპოზიციას, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უნდა ამოვუდგეთ გვერდით და დავუჭიროთ მხარი.

ჩვენ უნდა უკუვაგდოთ, უკანასკნელ წლებში ხელოვნურად ჩანერგილი და თავსმოხვეული არასრულფასოვნების კომპლექსი და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასსეული თავდადებით და უკომპრომისოდ გავიბრძოლოთ.

გამარჯვებასაც ღვთის შეწევნით უცილობლად მივაღწევთ.

ჩვენთან არს ღმერთი! ჩვენ მხოლოდ უნდა ვიმოქმედოთ!

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“.

## მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

# როდის დაიბადა ილია ჭავჭავაძე?!

## საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტის შესახებ

თემურ კენკებაშვილი



*იგი, ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და უკვე დაინტერესებულია მეცნიერებით. თითქმის მთელ დროს წიგნების კითხვასა და ბიბლიოთეკებში საარქივო მასალებზე მუშაობაში ატარებს. კოჯრის საჯარო სკოლის მე-9 კლასის წარჩინებული მოსწავლეა და სწავლობს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაშიც. მიღებული აქვს რამოდენიმე სიგელი და საკონფერენციო დიპლომი.*

*მან, 13 წლის ასაკში, საარქივო მასალებსა და წყაროებზე დაყრდნობით, სრულყო თავისი საცხოვრებელი დაბის კოჯრის ისტორია და საფუძვლიანი მასალა დადო მასზე. იგი11 წლის ასაკიდან უკვე მაძიებელია, ინტენსიურად დადის ბიბლიოთეკებში, რაშიც მას დაუღალავ მეგზურობას უწევს დედა - ლია ჯოხაძე.*

***ნორჩი მკვლევარი თემურ კენკებაშვილი, ქვემოთ დაბეჭდილი მასალით პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე. ჩვენ გულითადად ვულოცავთ მას საკუთარი კვლევის პრეზენტაციას და დიდ წარმატებებს ვუსურვებთ მეცნიერების რთულ გზაზე (რედ.).***

როგორც დღემდეა ცნობილი ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს. იგი პირად მოგონებებშიც ყოველთვის აღნიშნულ თარიღს ასახელებდა, მაგრამ როდესაც მე ვმუშაობდი ილიას მკვლელობის მასალებზე, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ერთ-ერთ ფონდში, სრულიად შემთხვევით, აღმოვაჩინე „საეკლესიო წიგნი“, სადაც იყო სააქტო ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ (იხილეთ, სცსსა, ფ. 489, აღ. 6, ს. 301, ფ. 16). აღნიშნულ დოკუმენტში სწერია, რომ ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 20 იანვარს, იქვე ნახსენებია მშობელთა და ნათლიის სახელები, რომელთაგანაც მშობელთა სახელების იდენტურობა დადასტურებულია. „იანვრის ოცში, ამა სოფლის მცხოვრებელთა პორუჩიკს გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა მაგდანას ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი ილია, სახლი განუნათლე და ნათლის ცემა სრულ ვჰყავ ამავე სოფლის იოანე ნათლის მცემლის შობის ეკლესიის მღვდელმან ბლაღოჩინმა დანიელ იოანეს ძემ ზურიევმან, ნათლის ღების დროს იყო ამავე ეკლესიასა შინა მოსე ივანეს ძე ფხოტიაშვილი, მირონმქმნელად იყო თელავის უეზდის სოფლის ქისტაურის მცხოვრებელი, გარდაცვალებულის თავადის გიორგი ერისთავის მეუღლე ნინო მალხაზის ასული“.

რას შეიძლება გამოეწვია ამგვარი ცდომილება ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის ვარიანტებს შორის?

ჩემი მოკრძალებული აზრით, ილია ჭავჭავაძეს თავისი დაბადების თარიღი ზეპირი გადმოცემის მიხედვით უნდა სცოდნოდა. იგი ადრე დაობლდა, დედა რომ გარდაეცვალა ათი წლის იყო, მას შემდგომ ილიას მამიდა ზრდიდა, ხუთ



წელში მას მამაც გარდაეცვალა და სავარაუდოა, რომ მისი დაბადების თარიღიც ილიას ადრე დაობლების გამო უნდა დაკარგულიყო. შესაძლებელია ისიც, რომ ილიას დაბადების თარიღის მისი რომელიმე დის ან ძმის დაბადების თარიღში არეულიყო (როგორც ცნობილია ილიას ორი ძმა და ორი და ჰყავდა). ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ხელახალი გამოკვლევის საგანია. ამიტომაც მას მივანდობ გამოცდილ მეცნიერებს, ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ილია ჭავჭავაძის კვლევით.

საარქივო მასალაზე მუშაობის პროცესში, არქივის თანამშრომლებისაგან გაფრთხილებული ვიქენი, რომ არ უნდა გადამეღო ჩემს მიერ წაკითხული არც ერთი დოკუმენტი, მაგრამ ასაკმა მძლია და ჩუმად, მობილურით, მაინც გადავიღე ჩემთვის საინტერესო მასალა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი არქივის თანამშრომლებს, ხოლო დოკუმენტს, საჯარო მტკიცებულებისათვის ვთავაზობ ფართო საზოგადოებას.



# SOS! SOS! SOS!
# კაცობრიობავ, უფრთხილდი რუსულ-ალანურ კავშირს!

***(ნაწყვეტი წერილიდან „ალმოდებული კავკასია“)***

**ალექსანდრე სანდუხაძე**

როდესაც საქართველო ითხოვს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და მის დაბრუნებას, რაც მას ისტორიულად კანონიერად ეკუთვნოდა, ამ საკითხში ისტორიული ასპექტი გამოირიცხება დღევანდელი საერთაშორისო კანონ-სამართალიდან. ამას, ხოლო როდესაც სეპარატისტები საქართველოს სახელმწიფოს ანგრევენ, მაშინ მათ მონაჩმახ „ისტორიულ ცნობებს“ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ახლა მოვიყვანთ რამოდენიმე ამონარიდს „დიდი და უკიდეგანო ოსეთის“ შესახებ და შემდეგ განვიხილოთ ქვემოთმოყვანილი რუკაც სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით:

“Идеологи Северной Осетии часто “награждают” нас информационно-провокационными “утками”. Особенно тщательно они готовятся к юбилеям. Ждали и на этот раз к годовщине сталинской депортации. И дождались. “Уточка” оказалась с привычными приправами. Ее авторы: информационно-аналитический центр парламента Северной Осетии. То есть – избранные из избранных осетинского народа. Как же тут не ответить. А заодно у читателей будет возможность определиться в “ментальности” авторов.

В своем материале я часто буду ссылаться на работу Виктора Шнирельмана “Быть Аланами. Интеллектуалы и политика на Северном Кавказе в XX веке”, изданную в прошлом году в Москве Институтом этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая Российской академии наук. Осетинские “аналитики” призывают читателя на переосмысление истории. Вообще-то наши соседи любят “переосмысливать” историю и выстраивать ее так, как им это заблагорассудится. Вернее, они кроят историю с желанием вписаться в нее “вершителями” судеб мира.

Например, излюбленной темой осетинских “аналитиков” является начертание территории расселения предков осетин. Понятно, чтобы ввести в заблуждение наивных надо привести в рабочее состояние несколько версий. Виктор Шнирельман в своем довольно-таки объемном труде на основе осетинских “изысканий” выводит несколько вариантов расселения осетин.

На 77-й стр. книги “Быть аланами” Виктор Шнирельман, ссылаясь на журнал “Новое обозрение” от 1891 г. (№2756), выводит первую версию: осетинские “владения” были распростерты “от Кавказского хребта до устьев Дуная и Волги”.

Вторую версию он находит у осетинского исследователя Кодзаева, который в середине 20-х годов прошлого столетия ареал расселения своих предков обозначил южно-русской равниной – от низовий Волги до устьев Днепра и Днестра”.

По третьей версии, которую В. Шнирельман обнаружил в работе осетинского автора Кундуха (1934г.), осетины оседлали восточно-европейские степи. В эти же годы в осетинской элите прорабатывается вариант существования “Осетинского царства” на Северном Кавказе. Еще одна версия по Абаеву (1949г.) и Скитскому (1947г.) территория расселения предков наших соседей простиралась от реки Кубань с ее притоками и до Эльбруса.

Завладев таким пространством, грех обойти вниманием Среднюю Азию, Крым, Западную Европу. Находившийся на обслуживании осетинской прихоти Скитский в 1947г. очерчивает и эту территорию как принадлежавшую осетинам.

Седьмую версию Виктор Шнирельман определяет со ссылкой на труды Кокиева (1944г.), Джанаева (1952г.) и Новосельцева (1987г.). Из их трудов вытекает, что осетины владели Индией и Европой.

Есть восьмая, девятая, десятая и так далее версии, в соответствии с которыми предки осетин хозяйничали не только в Крыму, Подонье и на Северном Кавказе (Кочиев, 1996г.), но и в Египте, и на берегах Нила (Абаев, 1996г.), в Африке и Америке (Казанти, 1997г., Созаев, 2006г.).

Исходя из данных версий осетинских “ученых”, вполне могли бы быть оправданными претензии Осетии на большую часть Вселенной, на то, что все народы мира являются осетинскими отпрысками.”

Амнезия памяти. Ответ на публично-информационную провокацию информационно-аналитического центра парламента Северной Осетии

***Хаджимурадт КОСТОЕВ***
**газета “Ангушт”**

ახლა კი ვნახოთ, როგორი „ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა“ და რომელი „ისტორიული სამშობლოების გაერთიანებას“ მოითხოვენ სეპარატისტები:

ბატონებო, რუსეთის მიერ ზურგგამაგრებული ოსი ისტორიკოსები და თვით რუსი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ხელაღებით აყალბებს არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ გადატრიალებებს ახდენენ მსოფლიოს ისტორიაში. ხოლო ჩვენ ქართველები, სხვა კავკასიის ხალხები ზეციერს მადლობას უნდა ვუძღვნიდეთ, რომ ოსები მოგვევლინენ „განმანათლებლებად“, თურმე ქართული ლიტერატურის მშვენება, კაცობრიობის საგანძურში დამკვიდრებული უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი შოთა რუსთაველი ოსი ყოფილა, ოსი ყოფილა აკაკი წერეთელი და სხვანი. და თუ რამე შეგვიქმნია, - ცეკვა-სიმღერით დაწყებული, რომელიც ცისკიდურემდის აღაფრთოვანებს მსოფლიო ხალხებს და მატერიალური კულტურით დამთავრებული - მხოლოდ ოსების შემწეობითა და მადლით.

მხოლოდ ოსი ხალხის გენიის კელაპტარს გაუნათებია უკუნი კავკასია და არა მარტო კავაკასია, სხვა ქვეყნებიც, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ ვიხილავთ. მხოლოდ ოსი ხალხი ყოფილა კაცობრიული ცივილიზაციისა და გენიის მატარებელი. მაგრამ სულ სხვისთვის ზრუნვაში ღამენათევ ოს ხალხს საკუთარი ანბანის შექმნისთვის ვერ მოუცლია და ვინ იცის რამდენი სამყაროსეული სიბრძნე და საიდუმლო მისცემია დავიწყებას ამის გამო. რეალობაში კი, რომ არა ქართული დამწერლობა და ქართული საისტორიო თუ ლიტერატურული მწერლობა, კაცობრიობას ოსთა გუშინწინდელი დღე კი არა, დღევანდელი დღეც არ ეცოდინებოდა, რამეთუ ოსთა არსებობის შესხებ ცნობები, უმთავრესად, ქართულ წერილობით ძეგლებშია შთენილი. ხოლო სახელი ოსეთი, რომელიც დღეს მთელს დედამიწას პირზე აკერია – ხომ ნამდვილი ქართული წარმომავლობისაა.

მათ ხომ მწერლობა მხოლოდ ამ ასიოდე წლის წინ შეუქმნეს და ისიც სხვა (კირილიცა) ანბანზე დაფუძნებული, ამიტომ, როგორც სჩანს, ძნელი ყოფილა კაცობრიული სიბრძნის ქაღალდზედ სხვისი ასოებით გადატანა და შედეგიც სახეზეა – ერთი-ორი სოფლის მასშტაბის მოლექს-მოზღაპრის გარდა, ჯერ არ სჩანს ახალი მსოფლოს მანათობელი მათი წიაღიდან.

ნამდვილად მისასალმებელი და მისაბაძია საკუთარი ერის სიყვარული, მაგრამ საშიშია, როცა ამ სიყვარულს სხვა ერი ეწირება, საუკუნეთა მანძილზე კი კავკასიიის ხალხები მათგან მხოლოდ ასეთ სიყვარულს იცნობენ, სამწუხაროდ, ისტორიის მანძილზე ისინი ხომ ყოველ ახალდამპყრობელს ეგებოდნენ ფეხქვეშ თავიანთი გამორჩენის მიზნით და მაოხარი და სადამსჯელო რაზმების ფუნქციასაც ასრულებდენ. კავკასიაში მილიციის რაზმებში პროცენტული რაოდენობით, ოსები ყველას უსწრებდნენ, ხალხში ასეთი სიმღერაც კი არსებობდა „ოსი ბიჭის ფიქრებიო, რომ გავიზრდები მილიციელი ვიქნებიო“ !

ისტორიის გაყალბების დიდოსტათთაგან ერთ-ერთი ოსი ოსტატი ჩელეხსათი ამას ბრძანებს: „Благодарю судьбу за то что на этот свет родился осетином“. მაშ, ჩვენ, მე და თქვენ, ბატონო ზიგფრიდ ვოებერ, რა ვილონოთ, განგებას უნდა ვწყევლიდეთ, რომ მე ქართველად და თქვენ ავსტრიელად დაიბადეთ?

ისინი პრეტენზიას აცხადებენ სამ კონტინენტ – ევროპას, აზიას და აფრიკას შორის გადაჭიმულ უკიდეგანო სივრცეზე და ჩადიან ალბიონის კუნძულებამდე, თურმე ნუ იტყვით, ალბიონის დედაქალაქს დღესაც ოსური სახელი – ლონდონი ჰქვია. და დღევანდელი ფრანგი ალენი და ინგლისელი ალანი გუშინდელი ოსები ყოფილან. არ გჯერათ? აბა ნახეთ ავადმყოფური, ფაშისტური გონების შედევრი – რუსულ-ოსური დედამიწის გლობუსი (http://www.kavkazweb.net/forum/viewtopic.php?t=32666&sid=0e2435cecdf83560ff06f0126e13be93), карта обьединеной осетии в л 1 го в Н Э составил Андрус Достопочтенный.

მივყვეთ ფსიქიურად შეურაცხადი „ისტორიკოსების“ გონების ნაჟურს:

„დასავლეთი ოსეთი“ მოიცავს ტერიტორიას ბალკანსტონის ნახევარკუნძულიდან ვიდრე ძველი დასავლეთის იბერიის ნახევარ კუნძულს.

„თეთრი ჭაობიანი ოსეთი“ მოიცავს ტერიტორიას ცენტრალური ევროპიდან, ვიდრე ალბიონსტონის კუნძულსა და გადადის სკანდინავსტონში.

„ჩრდილოეთ ოსეთი“ მოიცავს ტერიტორიას ცენტრალური რუსსტონიდან (თვით მოსკოვსტონ ქალაქიც კი), ვიდრე ყინულოვან ოკეანემდე (და არა დღევანდელ ოსეთს ჩრდ. კავკასიაში).

„აღმოსავლეთ ოსეთი“ მოიცავს ტერიტორიას დაწყებულს ურალსტონის მთების მასივიდან და აღმოსავლეთ კასპიისსტონიდან ვიდრე აღმისავლეთ ციმბირსტონის კიდემდის, შუა აზისტონის და ცენტრალური აზისსტონის სანახებს;

„შორეული ოსეთი“ მოიცავს სივრცეს ობისტონიდან მაგადანსტონამდე და ჩრდილოეთით ის ესაზღვრება იაკუტსტონსა და ალეუტსტონს, სამხრეთით კი მანჯურისტონს, იმის იქით იცით რა მოდის? – „ოქროს ოსეთი“, რომელიც წყნარ ოკეანეში იგრილებს ახურებულ სხეულს.

„მაღალ ოსეთს „ გადაულახავს ჩინსტონის დიდი კედელი და მის მკლავებში მოუქცევია ჰიმალაის სტონის მთებიც და დაშვებულა მისი კალთებიდან ინდოჩინსტონის სანაპიროებზე. დასავლეთით ის ესაზღვრება ინდუსტონს აღმოსავლეთით კი რომელიღაც სტონს (სამწუხაროდ გლობუსსტონზე არ იკითხება).

ნამდვილი „სამხრეთ ოსეთი“ (ფარსისტონი) კი იცით, სად ყოფილა? ახლო აღმოსავლეთიდან დაწყებული ის მოიცავს სარკინოზსტონის (არაბეთის) ნახევარკუნძულს, მესოპოტამიას, ირანსტონს, ავღანსტონს, პაკისტსტონს, ვიდრე ინდუსსტონამდე, რომელსაც ატლანტიდის ოკეანეში ამაოდ დაეძებდნენ დასავლეთ ოსეთელები.

ხოლო, რაც შეეხება სარკინოზსტონებს ისინი ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთით ისე შეუვიწროებიათ და მიუჭეჭყიათ, რომ კაცი ფარდაგსაც ველარ გაშლის ნაზამის აღსრულებისთვის.

„სამხრეთ დასავლეთი ოსეთი“ გადაჭიმულია ამჟამიდნელი მაროკსტონიდან ალჟირსტონ-ეგვიპტსტონზე გადაშლილი, ვიდრე აბისინსტონის (ეთიოპია) დასალიერი და ის ნანატრ სატრფოსავით ელამუნებ-ეალერსება მარჯნისტუჩება წითელსტონ ზღვისტონის ნაპირებს. და-

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი გვ. 4

სავლეთით მას ნუმიდია და მალი ეკვრის, სამხრეთით კი - პიგმეისტონი.

როგორ ფიქრობთ როცა გვაქვს თეთრი და ოქროსფერი ოსეთი, შავი ოსეთი აღარ გვექნება? გვაქვს და ის აფრიკის შუაგულიდან ნუმიდია- მალისა და პიბგმეისტონის შორის გამავალი ორლობით სპილოს ძვლის სანაპირომდე ჩადის.




იქნებ იფიქროთ დასრულდა „ოსეთების“ სერიაო, არა ბატონო, დაგვრჩა ცენტრალური ოსეთი, რომელიც პონტოსტონის (შავი ზღვა) დასავლეთ სანაპიროებიდან კასპიისსტონის სანაპირომდეა გადაჭიმული და მოიცავს, სამხრეთ რუსეთის ველებიდან დაწყებულს, ვიდრე მცირე აზიამდე, ოსთა მიერ მრავალგზის აოხრებული და გავერანებული კავკასსტონის ჩათვლით.

P.S. გვეგონა დავასრულეთ ოსთა უკიდეგანო ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა, -თქო, მაგრამ გლობუსზე თვალის გადავლებისას კიდევ ერთი ნაწილი აღმოვაჩინე ძლევამოსილი ოსეთისა და იცით სად? აი, იქა ესკიმოსები რომ ცხოვრობენ, გრელანდსტონზე და მისთვის ყინულოვანი ოსეთი უწოდებიათ. ჩვენ ხომ ხშირად გვსმენია ჩვენი განმანათლებელი ოსებისაგან რომ თურმე ქიმიკოსი, ფიზიკოსი, ჰელიოსი, ჰომეროსი, ბარბაროსი, ვანდალოსი ყველანი ოსები ყოფილან.

მოდი და ამდენი ოსეთ-ირისტონების პატრონი განგებას მადლს ნუ მიუძღვნი!

ოსები ყოველთვის ილტვიან „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენისაკენ და „ისტორიული სამშობლოების (ხომ ნახეთ რამდენი ჰქონიათ!) გაერთიანებისაკენ, ამიტომ ფრთხილად, დედამიწის სამ კონტინენტზე და ერთ მოზრდილ კუნძულზე მცხოვრებო ხალხებო!

ფრთხილად, თქვენც არ გაიზიაროთ „აგრესორი ქართველების“ ბედი! თქვენც ხომ ნაირფერი ოსური მიწები გიპყრიათ საბრძანებლოდ!

ასე რომ, ნახევარი დედამიწის შვილებს მოგვიწევს სასწრაფო დეპეშების გაგზავნა მარსელებთან პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად. დროზე დავჯავშნოთ კოსმობილეთები, თორემ რიგში 4 მილიარდამდე კაცი ჩადგება და როდის მოგვიწევს ვინ იცის? იჩქარეთ, იჩქარეთ, რადგან თქვენ არ იცნობთ „ჩაგრული ოსი ერის“ შურისძიებას – თქვენ გელოდებათ დიდი ქვაბები ადუღებული წყლით, ცოცხლად დამარხვა ან შებრაწვა მოგიზგიზე კოცონზე!

ბატონო ვოებერ, ეს განგაში თქვენ არ გეხებათ, „კაინე ზორგე“, ნახეთ რას სწერენ „სამხრეთ ოსეთური“ გაზეთის მესვეურნი, „სამხრეთ ოსეთური“ ფაშიზმის ტრუბადურები, თქვენი შორეული ნათესავები (ფერცაიენ, აკი თავად აცხადებენ ასე):

1990 წელს ადამონ ნიხასის პატრონაჟით დაიწყო გამოცემა გაზეთის „არიაგ მომ“ (ამ გაზეთის რედაქცია მდებარეობდა ქ. ცხინვალში (კოლხური ძირის ქალაქია -ქრცხინვალი და რცხილას, რცხილნარს ნიშნავს) კოჩიევის ქუჩა N: 1)). ეს იყო გაზეთი, რომელიც ცდილობდა (სათაურიდანაც სჩანს) დაემკვიდრებინა არიული იდეოლოგია და მოეწამლა მრავალი და მრავალი.

მოვიყვანთ რამოდენიმე ამონარიდს თუ რა მიზნები და ზრახვები მოძრავებდა ამ გაზეთის რედაქციას, მაგალითად გაზეთში სწერია: „ჩვენ ოსები, ჭეშმარიტად ეთნიკური არიელები ვართ, ჩვენი საკუთარი სახელწოდება პირდაპირ იღებს სათავეს ძველი აერონისაგან. სხვა არიელებთან შედარებით, ჩვენ ყველაზე მეტად ვზარალდებით არიულობის იდეის დისკრიმინაციის გამო, რაშიც გერმანულ ფაშიზმს მიუძღვის ბრალი. მაგრამ ფაშიზმი ეთნიკური ინდიკატორი არ არის, იგი ახასიათებდა და ახასიათებს ბევრ ხალხს, მათ შორის თეთრი რასის გარეთაც. არიული იდეოლოგია და ჰუმანიზმი არ არიან პასუხისმგებელნი ფაშიზმისა და სხვა იზმების დანაშაულობათა გამო“...

... რუსულ-ოსური კავშირი – ეს არის ჩვენი ღირსეული პოლიტიკური თანასწორობის საფუძველი. ალანურ -ალემანური საზოგადოება ხელს შეუწყობს ოსურ-გერმანული კავშირების რეანიმაციას და დაგვეხმარება რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით დავძლიოთ უკულტურობის მემკვიდრეობა. დღევანდელი ოსეთი გადააბიჯებს ხვალინდელ დღეში არიული სიჯიუტითა და ენერგიით, ქრისტიანული მოთმინებით“. (საინტერესოა მუსულმან ოსებს რას უპირებენ ა.ს.)

ახლა კი მივუბრუნდეთ ბატონ ხაჯიმურატ კოსტოევის სტატიას და კიდევ ერთი ამონარიდი მოვიტანოთ, სადაც ის მეტად სკანდალურ მაგრამ სამართლიან კითხვას სვამს:

“Хотелось бы получить от “аналитиков” ответ на вопрос, как это получилось, что осетинский народ, сдавший почти половину своей родины немецким захватчикам, занимавший на Кавказе ведущее место по измене и предательству Родины, получил в подарок территории целых народов и неисчислимые материальные ценности?

Виктор Шнирельман в своей работе не оставляет без внимания этот факт осетинского прошлого. “Осетинские коллаборационисты входили в состав северокавказского и грузинского национальных легионов, воевавших на стороне вермахта в годы второй мировой войны” (стр. 101).” Гаппо Байоти 1938г. (в советское время Г. Баль) в последние годы своей жизни преподавал историю осетин в нацистской Германии” (готовил диверсантов - Х.К.). Этот предатель в 1990 году в Северной Осетии был реабилитирован и внесен в список выдающихся деятелей.”

***Хаджимурадт КОСТОЕВ***
**газета “Ангушт”**

**SOS! SOS! SOS!** კაცობრიობავ, უფრთხილდი რუსულ-ალანურ- ალემანურ კავშირს!

კაცობრიობის ახალი დაავადების ვირუსს, რომელიც ღორის გრიპის ვირუსზე გაცილებით საშიში და მომაკვდინებელია!

# ჩვენი მოკრძალებული რეპლიკა პაატა ბურჭულაძეს

მიმდინარე წლის აგვისტოში, მოსკოვში, დიდ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან ჩავიდა ოპერის ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე.

ბატონო პაატა, უთუოდ თქვენც გეცოდინებათ, რომ 1940 წელს გერმანიამ მოახდინა საფრანგეთის ერთი ნაწილის ოკუპაცია.

შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ, ოპერის რომელიმე ფრანგი მომღერალი, რომელმაც 1940, 1941 ან 1942 წელს, გერმანიის დედაქალაქში გამართა, გერმანელი ბავშვებისთვის, თუნდაც საქველმოქმედო კონცერტი?

ასეთი ფრანგი საოპერო მომღერალი არ არსებობს!



გამართლება, სიტყვიერი ეკვილიბრისტიკით ბევრი რამის შეიძლება, მაგრამ ვერავითარი სიტყვები ვერ გაამართლებს ოკუპანტი ქვეყნის დედაქალაქში, ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქის მიერ კონცერტის გამართვას. გასაგებია, რომ საბჭოთა მენტალიტეტმა და ნოსტალგიამ გძლიათ, თქვენ ხომ 2005 წელს რუსულ ინტერნეტგამოცემას (www.news-prom.ru) ასეთი ინტერვიუ მიეცით: „რუსეთში მოგზაურობა ბოლო დროს დავიწყე. იმიტომ რომ სახლი მომენატრა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველანი ერთ ქვეყანაში გავიზარდეთ. თქვენ ახალგაზრდები ხართ, თქვენთვის სამშობლო რუსეთია, ჩემი ქვეყანა კი არის საბჭოთა კავშირი“.

თქვენი მყისიერი გადაწყვეტილებით თქვენ შოკი მოჰგვარეთ ქართველ საზოგადოებას და ვფიქრობთ, დიდი ჩრდილიც მიაყენეთ თქვენს დიდ ქველმოქმედურ ღვაწლს უსახლკარო ბავშვებისთვის სახლების შეძენისა და ბავშვთა სახლებიდან მშობლებთან დაბრუნების საქმეში.

სამწუხაროა და დიდად დასანანიც.

# დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარება

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ ხელისუფლებას, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მუშაობის დაწყების პირველივე დღეს მოუწია მძლავრ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ კომპლექსთან შეჯახება. ფიზიკურ ძალადობასთან და ექსტრემიზმთან ერთად, როგორიც იყო 1990 წლის 14 ნოემბერს კახეთში მილიციის რაიონულ განყოფილებებზე თავდასხმა, პირველივე დღიდან რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური დივერსიების წინაშე აღმოჩნდა. ეს არ იყო შემთხვევით ან სპონტანური ქმედება. საქართველოს რესპუბლიკისა და მისი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ საინფორმაციო ომი დაიწყო. ამ ომის შტაბს, იმჟამად საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, მდივანი იდეოლოგიის დარგში ალექსანდრე ძასოხოვი ხელმძღვანელობდა. ეს ვაჟბატონი შემდგომ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა ჩრდილო ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტიც იყო და თავისი მოღვაწეობა ბესლანში პუტინთან ერთად მოწყობილი, ბავშვების ხოცვა-ჟლეტით დაამთვრა, 1990 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ბოლო XXVIII ყრილობაზე მან თავბრუდამხვევი კარიერული ნახტომი გააკეთა და სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროში აღმოჩნდა.

1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ, ალექსანდრე ძასოხოვმა ედუარდ შევარდნაძის წინაშე არსებული ვალის დაბრუნება დაიწყო. საბჭოთა კავშირის პარტიული თუ «დამოუკიდებელი» პრესა, რადიო და ტელევიზია კოორდინირებულად ჩაება საქართველოს რესპუბლიკისა და მისი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დისკრედიტაციისა და ძირის გამოთხრის კამპანიაში. ამ ორგანიზებული დეზინფორმაციული მანქანის მესაჭე კი სკკპ ცკ-ის მდივანი ალექსანდრე ძასოხოვი და მისი მეურვე ედუარდ შევარდნაძე იყო.


ალექსანდრე რონდელი

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონიერებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ სტრატეგიულ დონეზე წარმოებულ იდეოლოგიურმა და ფსიქოლოგიურმა ომმა, არა ერთი ადამიანი დააბნია. მეტიც, ინტელიგენციის ერთი ნაწილი არა მარტო დაიბნა, არამედ გაუცხოვდა კიდეც რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონიერებისადმი. არა ერთი მათგანი შეცდა და 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციურ, ანტიეროვნულ სახელმწიფო გადატრიალებას ან პასიური დუმილით ან უსაფუძვლო იმედით შეხვდა.

ედუარდ შევარდნაძის მეურვეობითა და ალექსანდრე ძასოხოვის კოორდინაციით შექმნილი სიცრუის კვამლი დღეს მეტწილად გაფანტულია. ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა გაზეთ «24 საათის» ინტერვიუში აღნიშნა: «არასოდეს ვიყავი გამსახურდიას მოტრფიალე, მიმაჩნია, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მაშინაც არ მომწონდა რაც მოხდა. მაშინ პროტესტი უნდა გამომეთქვა და ეს რომ არ გავაკეთე, დანაშაული ყოფილა, ახლა ვაღიარებ ამას».

ეს სიტყვები ადასტურებს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მართალი იყო ერისა და ბერის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ეს სიმართლე XXI საუკუნეში სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება. ბრძოლა კანონიერი ხელისუფლების დასამხობად იყო არა მხოლოდ ბრძოლა რომელიმე პოლიტიკური ძალის შესაცვლელად, არამედ იყო ბრძოლა საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ, რაც განვლილმა ისტორიამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა.

**დავით არაბიძე**

# იცოდე შენი გვარის ისტორია

*რუბრიკას უძღვება*
***მარიამ წერეთელი***



## ჩხარტიშვილები

ჩხარტიშვილების გვარი ცნობილი გვარია ქართულ გვართა შორის. ამ გვარის ძირითადი შტო სოფელ ჯუმათიდან მოდის. ჯუმათი ბაზრობით განთქმულ ადგილს ნიშნავს, მეგრულად ჯუმა-ძმას, ჯუმითი-ძმითი. ოზურგეთის რაიონში არის სოფელი ძიმითი, სადაც ასევე ცხოვრობენ ჩხარტიშვილები. ჩხარტიშვილების მთავარი სალოცავი არის ჯუმათის მიქეილ-გაბრიელის მთავარი ანგელოზის ტაძარი, რომელიც აშენებულია და ეკუთვნოდა გურიის მთავრებს - გურიელებს. მისი პირველი ფუძე ჩაყრილი იყო მე-6 საუკუნეში, განახლებული იქნა მე-12 საუკუნეში, ინტერიერი მოხატა მე-16 - მე-18 საუკუნეებში.

გადმოცემის თანახმად, მის მოხატვაში და შეკეთებაში მონაწილეობა მიუღიათ გურიელების დავალებით ადგილზე მაცხოვრებელ ჩხარტიშვილებსაც, რის გამოც მათთვის უფლება მიუციათ ამ ტაძარში ლოცვისა და ამასთანავე, საბოლოო განსასვენებლად ადგილები ეკლესიის გალავანში, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგანაც ჯუმათის მთავარანგელოზების ტაძარი გურიელთა სალოცავი და საეპისკოპოსო იყო, ისევე როგორც გურიელთა სხვა სალოცავები შემოქმედში. ჯუმათის ტაძარი განთქმული იყო სიმდიდრით. იგი რამოდენიმეჯერ იქნა გაძარცვული. გატაცებული იქნა ორმეტრიანი ოქროს ჯვარი მოჭეედილი ძვირფასი თვლებით, რომელსაც „უძრავ ჯვარს“ უწოდებდნენ. ეს ჯვარი ინახება ნიუ-იორკში მეტროპოლიტენ მუზეუმში. გურიელების მიერ ეკლესიისათვის შეწირულ სხვა ნივთებთან ერთად წაღებული იქნა ჩხარტიშვილების მიერ ამ ტაძრის შეწირული ხატები და ჯვრები, რასაც დიდი მწუხარებით აღნიშნავდნენ ჩხარტიშვილების გვარის მცხოვანი წარმომადგენლები. ი. ახუაშვილის „ქართულ გვარ სახელებში“ ტ. I გვ. 118 - ჩხარტიშვილი, ჩხატარაშვილი, ჩხატარეიშვილი ერთი და იგივე წარმოშობის გვარია. მათი საერთო ფუძე ჩხატია. გვარის ფუძე ჩხარტი იმავე ფრინველის ერთ-ერთი სახეობაა. ი. ახუაშვილის „ქართულ გვარ-სახელებში“ ტ. 2 გვ. 225 აღნიშნულია: ჩხართვი გარეული ფრინველია შაშვისებრთა ოჯახისა, მიწისფერია, გულჭრელი „ჩხარტი“ გურულ დიალექტში „ჩხართვია“.

ძველი ჩხატარეიშვილის მიხედვით, გურული ჩხატარეიშვილები აზნაურები, სამღვდელო პირები და გლეხები არიან. ჩხარტიშვილებიც როგორც მათი წარმოშობის გვარი არ არის გამორიცხული რომ იყოფოდნენ აზნაურებად, სამღვდელო პირებად და გლეხებად. ჩხატარეიშვილები მაჯეტამის სათავადოში შედიოდნენ, ჩხატარაშვილები გურიელების და ვფიქრობთ, გურიის ერისთავების სამფლობელოებში. ჩხარტიშვილებზე მცირე მასალა მოიპოვება, რაც უთუოდ გამოწვეულია შემოსევებისა და ეკლესია -ტაძრების დარბევით, რის გამოც ბევრი დოკუმენტური მასალა განადგურებული იქნა. ჩხარტიშვილებს ერთმანეთისაგან ასხვავებენ დამატებით შერქმეული გვარებით. მათ ჰქონდათ ჩხარტიშვილი ლაშქმერი, სავარაუდოა, რომ მათ ქართულ ლაშქარში უხდებოდათ მონაწილეობის მიღება. ელიაშვილები, რომლებიც სამღვდელოების წარმომადგენლები არიან და ფუძეს ელიას წინასწარმეტყველს უკავშირებენ, არიან ქაშაკნი, ბაბაშიები, კოთხოხოციები, ატამანები, ქვავილიები და ა. შ. მათ შორის თხოვა-გათხოვება არ შეიძლებოდა.

ა. სილაგაძის და ა. თოთაძის „გვარ-სახელები საქართველოშის“ მიხედვით სულ საქართველოში ჩხარტიშვილები 2972 სულია (ოზურგეთში 1047, ლეჩხუმში 631, თბილისში 474, დანარჩენები გაბნეულნი არიან სილაურში, ჯუმათში, სადგურ ჯუმათში, სუფსაში, ბათუმში და საქართველოს სხვადასხვა კუთეებში.

ჩხარტიშვილების გვარს ჰყავდათ და ჰყავთ ღირსეული ადამიანები. დღეისათვის ამ გვარში 69-ზე მეტი დოქტორ-პროფესორია, ამაზე მეტი მეცნიერების კანდიდატი, მწერლები და სხვადასხვა დარგის გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც თავის ფუძესთან კავშირს არ წყვეტენ. გვარი უმრავლესობა ყოველ 21ნოემბერს მთავარანგელოზობის დღეს ჯუმათში ამავე სახელობის ტაძარში იკრიბებიან, რათა პატივი მიაგონ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს, ამ ტაძარ-სალოცავის ამშენებლებს და წინაპრებს.

იმრავლოს ჩხარტიშვილების გვარმა და მათმა შთამომავლებმა ქართველი ერის საამაყოდ და საკეთილდღეოდ.

## ეკლესიის პრობლემები

# როგორ იბრძოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეკლესიის სიწმინდისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვისათვის

### *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დავით V-ს*
### *ასლი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს*

დიდის აღშფოთებით შევიტყვეთ, რომ თქვენ ა.წ. 10 ივნისს, მამადავითობას მიტროპოლიტად აკურთხეთ „ეპისკოპოსი“ გაიოზი, რომელიც თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხდა და უტეხს ქართულ ეკლესიას. არა მარტო მრევლისა და სამღვდელოებისათვის, არამედ მილიციისა და პროკურატურის ორგანოებისათვისაც კარგად არის ცნობილი მისი მამათმავლობა, მძარცველობა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებანი; ყველასათვის ცნობილია, რომ იგი არის, აგრეთვე უშიშროების კომიტეტის აგენტი, ხოლო საიდუმლო პოლიციის აგენტობა დაუშვებელია სამღვდელო პირისათვის; ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენი მაცხოვრის, ქრისტეს მოძღვრების არსს. გაიოზის მონაწილეობა საპატრიარქოს ძარცვაში 1972 წელს დაამტკიცა კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწემ, დავით ქორიძემ; მის მამათმავლობას და ქურდობას ადასტურებენ, აგრეთვე ქალაქის მილიციის სამმართველოს გამომძიებელი სილაგაძე, თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი ლ. საძაგლიშვილი, რომელმაც ამას წინათ მოითხოვა კიდეც მისი დაპატიმრების ორდერი, მაგრამ «ძლიერნი ამა ქვეყნისანი» გაიოზის მფარველნი და მისგან უხვი ძღვენით მომადლიერებულნი ხელს აფარებენ მას..., მაგრამ «არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს» (მათე 10, 26). და როგორც უფალი იტყვის: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“ (რომ. 12, 19). გაიოზი* ადრე თუ გვიან დაისჯება თავისი დანაშაულებისათვის თავის ყველა დამქაშებთან და მფარველებთან ერთად, თქვენ კი უფალი და ერი არ გაპატიებთ ბოროტმოქმედთა გამრავლებას საქართველოს ეკლესიის წიაღში, აგრეთვე იმას, რომ თქვენ დაუშვით „ბილწი იგი მოოხრებისად წმიდასა მას ადგილსა“ (მათე 24, 15), (თარგმნა ზ. გამსახურდიამ).

ვაცხადებთ პროტესტს გაიოზის კურთხევის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მის გაკრეჭას და განკვეთას, როგორც ულირსი სამღვდელო პირისას.

**ზვიად გამსახურდია**
**მერაბ კოსტავა**

* კერატიშვილის – **რედ**.

## ქვაბავაზაყობის მხილება

1976 წლის 11 აპრილს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, წირვის დროს, მღვდელმა ივანე ჭკადუამ მონათლა ბავშვი ზერელედ და წესების დარღვევით, რასაც შემთხვევით ესწრებოდა ყოფილი პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე. ამბროსის უწინაც ხშირად ჰყავდა შემჩნეული და გაფრთხილებული მღვდელი ივანე ამგვარი დარღვევებისათვის. ახლაც, აღშფოთებული შევიდა იგი სამკვეთლოში და მოუწოდა ივანე მღვდელს შემდგომში აღარ დაერღვია ნათლობისა თუ სხვა საეკლესიო წესები, რადგან ამგვარი საქციელით იგი რწმენას უკარგავს ხალხს. ივანემ უპასუხა: «შენ ვინ გეკითხება, თუ როგორ ვნათლავ, ამისთვის მე პატრიარქი არაფერს მეუბნებაო». ამბროსიმ იგი ხელმეორედ გააფრთხილა, რის შემდეგაც სქემაშემოსილმა ივანემ წირვის დროს (წირვას სხვა მღვდელი ატარებდა), საკურთხეველში მას დედა შეაგინა და სკამს წამოავლო ხელი. ამბროსი გარეთ გამოიყვანეს წირვაზე დამსწრე მორწმუნეებმა, მღვდელმა ივანემ ესეც არ აკმარა, გამოეკიდა ქუჩაში და მოუხმო მილიციის თანამშრომელს ამბროსის დასაკავებლად. ქუჩაში ხალხი მოგროვდა, როდესაც ივანეს დავალებით მილიციის მუშაკი მოუწოდებდა ამბროსის მანქანაში ჩამჯდარიყო განყოფილებაში წასაყოლად, ანაზდად ეკლესიიდან გამოვიდა ერთ-ერთი მოწმე (კ. ა. და სხვ), ხალხს სიმართლე ამცნო, მღვდელი ამხილა და ანაფორის გახდით დაემუქრა. აღშფოთებულმა ხალხმა ამბროსის დაუჭირა მხარი და მილიციის თანამშრომელს მიმართა: «ხელი არ გაგვასვრევინო ამ გარეწარზე, უთხარი თავად ჩამოვიდეს მანქანიდანო». მილიციის მუშაკმა ივანე მანქანიდან ჩამოიყვანა, რომელიც იქაურობას გაეცალა. ამბროსიმ ხალხის წინაშე ამხილა მიმავალი მღვდელი: «შენგან რას უნდა მოელოდეს კაცი, ყოფილი მოწამლული ჩეკისტი ხარ, ოცდაოთხ წელში ბუზივით ჟლეტდი ქრისტიანებს, დღეს კი ანაფორას შეაფარე თავი».

მრავალმა ივანეს მაგვარმა,მთავრობის ხელშეწყობით, დღეს თავი შეაფარა მართლმადიდებლურ ეკლესიას, რათა წინასწარმოფიქრებული მოქმედებით რწმენა შეურყიოს ხალხს. ამგვარი ქმედებანი ოფიციოზის ხელში ანტირელიგიური პროპაგანდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ესენია: სიმონია, სარიტუალო თუ სხვა წესების (ნათლობის, ჯვრისწერის, საპანაშვიდო და ა.შ.) განგებისი დარღვევა, მზირობა, ჯვარისწერისას და ნათლობისას გვარების ჩაწერა საპოლიციო ინსტანციებში წარსადგენად, მთავრობისაგან დაპროგრამებული ქადაგება, აღსარების ბოროტად გამოყენება და გაცემა, ხულიგნობა, ლოთობა და ათასგვარი გარყვნილება დავალებით და ა.შ. ცხადია, ეს ამბავი პატრიარქმა დავით V-მაც (დევდარიანმა) იცის, რაზედაც თვალებს ხუჭავს.

ჭეშმარიტად აღსრულდა ლენინის გეგმა, მაქსიმ გორკისადმი 1912 წელს კუნძულ კაპრზე მიწერილი წერილიდან: «რელიგიის რადიკალური განადგურებისათვის აუცილებელია შიგნიდან შევუტიოთ მას, გამოვიწვიოთ შინა ომი, შუღლი და განდგომილება თავად მორწმუნეებს შორის. აუცილებელია შფოთისა და ეჭვის დათესვა, რაც რწმენის განქარვებასა და სარწმუნოებიდან განდგომას გამოიწვევს».

როგორც ხედავთ, გულმოდგინედ აღუსრულეს ანდერძი თავიანთ ბელადს მისმა მიმდევრებმა.

## მოთხოვნა-განცხადება

1. ეკლესიაში მამათმავლობისა და გარყვნილების აღკვეცა; მღვდელმსახურთა ლოთობის, საზოგადოებრივ ადგილში უწესო და უზნეო მოქმედების, ხალხის შეურაცხყოფის და ეკლესიისათვის სახელის გატეხვის აღკვეცა;

2. ეკლესიების ძარცვა-გლეჯის, ხალხის მოტყუების და ყვლეფის, ბნელი და ბოროტი ფანატიზმის გავრცელების აღკვეცა;

3. ქართული წირვა-ლოცვებისა და გალობის იგნორირების აღკვეცა დიდუბის, ზემო და ქვემო ბარბარეს, წმ. ნინოს (კუკიაზე), ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიისა და სხვა ეკლესიებში;

4. ქრისტიანული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დამახინჯება, შეკვეცა-გაბაიბურება და მისთვის ბნელი და ბოროტი ფანატიკური სახის მიცემის აღკვეცა;

5. პატიოსან მღვდელმსახურთა დევნის, შევიწროვების, თანამდებობებიდან მოხსნის და შანტაჟების შეწყვეტა;

6. ბნელი ფანატიკოსი, მაბეზღარა, მომყურადებელი, ცილისმწამებელი, ჭორიკანა, პროვოკატორი და შანტაჟისტი ბრბოს დაშლა და დათხოვნა ეკლესიებიდან (განსაკუთრებით სიონის ტაძარში);

7. საეკლესიო კრების მოწვევა (რუის-ურბნისის კრების მსგავსი) და მამათმავალი, გარყვნილი, ბოროტმოქმედი და ეკლესიისა და ერის წინაშე დამნაშავე მღვდელმსახურთა განკვეთა, გაკრეჭა და ეკლესიიდან დათხოვნა და მათ მაგივრად ღირსეული და პატიოსანი ადამიანების კურთხევა.

### ეკლესიიდან გასაძევებელი, გასაკვეთი და გასაკრეჭი, ბოროტმოქმედი და გარყვნილი ქვაბავაზაკების სია

1. **დავით ჭკადუა** - ბათუმ-შემოქმედის ეპისოპოსი; კათ. ბათუმში; რეზ-მახარაძეში. ძალიან საშიში ბოროტმოქმედი ქვაბავაზაკი;

2. **ელგუჯა ლოსაბერიძე** - სიონის მღვდელი, საეჭვო წარმოშობის დამნაშავე ქვაბავაზაკი;

3. **იოანე (ცეზარ) ანანიაშვილი** - ჭყონდიდელი აგარაკწალკელი ეპისკოპოსი. კათ-მარტვილსა და წალკაში რეზ. - ფოთსა, ზუგდიდსა და ბოლნისში. ძალიან საშიში ქვაბავაზაკი და გარყვნილი მამათმავალი;

4. **ნიკოლოზ (ხუტა) მახარაძე** - ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი კათ-სოხუმში, რეზ-ბიჭვინთაში და ტყვარჩელში. შენიღბული ბოროტმოქმედი ქვაბავაზაკი და საშინლად გარყვნილი მამათმავალი.

5. **პახომი ობოლაძე** - სიონის მღვდელი.დიდი სტაჟის მქონე გაიძვერა ქვაბავაზაკი;

6. **იოანე მამულაშვილი („კუნწულა“)** - სვეტიცხოველის მღვდელი. ხალხის მყვლეფავი, გაიძვერა და ბოროტი ქვაბავაზაკი. ბ. კერატიშვილის „მემკვიდრე“;

7. **გურამ შალამბერიძე** – მცხეთის, სვეტიცხოველის მღვდელი, ხალხის მყვლეფავი და შეურაცხმყოფელი, აბუჩადამგდები, ქვაბავაზაკი მღვდელი;

8. **არსენა ბერუაშვილი** - სვეტიცხოველის მღვდელი, ხალხის მყვლეფავი, მომტყუებელი, შეურაცხმყოფელი და აბუჩად ამგდები ბოროტი ქვაბავაზაკი;

9. **ექვთიმე (თამაზ) კოჭლამაზიშვილი** - ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი უაღრესად გარყვნილი და ყოვლად ზნედაცემული მამათმავალი ქვაბავაზაკი;

10. **გიორგი ჭკადუა** - ქვაშვეთის მღვდელი, ძალიან ბოროტი და ბნელი წარსულის მქონე შენიღბული ქვაბავაზაკი;

11. **ანტონ შიოშვილი** - მამადავითის ეკლესიის ქვაბავაზაკი მღვდელი;

12. **გიორგი ღონღაძე** - მანგლელი მიტროპოლიტი კათ. მანგლისში, რეზ-რუსთავში. ძალიან ბოროტი, უხეში და გესლიანი მტაცებელი; ხალხის მყვლეფავი, შეურაცხმყოფელი და მჩაგვრელი, ბებერი ქვაბავაზაკი, ქართული ენის იგმნორირებელი;

13. **გიორგი კოლოსოვსკი** - წმ. ბარბარეს ეკლესიის მღვდელი ყოვლად ზნედაცემული და გახრწნილი მამათმავალი;

14. **რომანოზ ბიბილაშვილი** - დიდუბის ეკლესიის მღვდელი, ლოთი, უხეში, ბნელი და ხალხის შეურაცხმყოფელი და მყვლეფავი ქვაბავაზაკი;

15. **მეფოდი აივაზოვი** - წალკის მღვდელი, ბინძური და ბილწი მამათმავალი;

16. **თეიმურაზ გოგიაშვილი** - ცხაკაიის მღვდელი, მამათმავალი ქვაბავაზაკი;

17. **ალექსანდრე (ანზორ) გულიევ-გულიაშვილი** - მთაწმინდის მიხეილ ტვერელის ეკლესიის მღვდელი, ყოვლადწაწყმედილი, ბილწი და გახრწნილი მამათმავალი ქვაბავაზაკი;

18. **ღვთისო შალიკაშვილი** - ილია II-ის მძღოლი, სიონის პროტოდიაკონი; მამათმავალთა აქტიური დამცველი, ბოროტი შანტაჟისტი, ბნელი და უხეში, თანამდებობებით მოვაჭრე ქვაბავაზაკი;

### ქვაბავაზაკთა და მამათმავალთა ხელის შემწყობი და მფარველი დამნაშავე საერო პირთა სია:

19. **ვიქტორ შიოლაშვილი** - პატრიარქ ილია II-ის ძმა, საპატრიარქოს მუშაკი, ეწევა საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობას - სიმონიას და არაკანონიერ მახინაციებსა და საქმიანობას ეკლესიაში, ათას ბოროტებასა და დანაშაულს;

20. **ილია ჭეიშვილი** - მცხეთის სასულიერო სემინარიის ლექტორი. ბ. კერატიშვილის ყოფილი თანამზრახველი და მის ინტრიგებსა და ბოროტებაში თანამონაწილე დამნაშავე.

21. **ტაისა ტორონჯაძე** - საეჭვო წარმოშობის ეს დამნაშავე დიდუბის ეკლესიის მტაცებელი და ხალხის მყლეფავ-მომტყუებელი ოცმეთაური და მგალობელთა გუნდის ლოტბარია. იგი ცდილობს გაარუსოს ეს ქართული ეკლესია, რუსული გალობებისა და ლოცვების შემოღება-დაწესებით.

22. **დენეზა ზუმბაძე** - მცხეთის სემინარიის ეს ლექტორი გამოცდილი პროვოკატორი და შანტაჟისტია. იგი ეკლესიაში მიმდინარე ბნელი საქმეებისა, ინტრიგების და ბოროტების აქტიური თანამონაწილეა.

23. **იდა თვარაძე** - საპატრიარქოს ბიბლიოთეკისა და არქივის ეს მუშაკი დენეზა ზუმბაძესთან ერთად, გამუდმებით ტრიალებს პატრიარქ ილია II-ის გარშემო და მონაწილეობს ბევრ ბნელ საქმეებში, ეწევა პროვოკაციებსა და შანტაჟებს.

24. **ირა კასრაძე** - კინოსტუდიის რედაქტორი. ეკლესიაში ეწევა ბნელ საქმიანობას, აწყობს აშკარა პროვოკაციებსა და ხულიგნურ გამოხტომებს, ავრცელებს ხალხში ჭორებსა და ცილისწამებებს.

25. **გურამ ციხელაშვილი** - ბიოლოგი. ეკლესიაში იგი აყურადებს და უსმენს ხალხის ლაპარაკს და ეწევა აშკარა პროვოკაციებს, გამომწვევ გამოხტომებსა და ავრცელებს ცილისმწამებლურ ჭორებს, მის გარშემო შემოკრებილი დედაბრებისა და საეჭვო ყოფაქცევის ქალების მეშვეობით. მათი საერთო ხელმძღვანელია პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი.

***ზვიად გამსახურდია, 1982 წელი***

***ამ მძიმედ წასაკითხი საარქივო მასალების გამოქვეყნება საჭიროდ ვცანით, რადგან, არც დღევანდელ ეკლესიებშია მთლად სახარბიელო მდგომარეობა, რასაც ემატება საერო ცოდვებიც, რის გამოც დაუსრულებლად ვისჯებით - არა და არ გადმოდის ღვთიური მადლი. ეკლესია, ერთხელ და სამუდამოდ სრულად უნდა განიწმიდოს ულირსი მღვდელმსახურებისაგან, რამეთუ სჯულის კანონი ბრძანებს - (წმიდა მოციქულების პეტრეს და პავლეს განწესებები):***

***კანონი 9. თუ ეკლესია ურწმუნოებს უპყრიათ და იქ მისვლა არ შეიძლება, სახლში შეკრიბე, ჰოი ეპისკოპოსო მრევლი, რომ კეთილმსახური არ შევიდეს ბოროტმოქმედთა შესაკრებელში, რადგან ადგილი კი არ განწმენდს კაცს, არამედ კაცი ადგილს.***

***კანონი 10. თუ ულმერთოებმა დაიპყრონ ადგილი, გაიქეცინ შინ, რადგან მათ შეაგინეს იგი. როგორც ღირსეულნი განწმენდნენ სამღვდელო პირებს, ასევე ბილწნი შებილწავენ.***

***ჩვენ ველით, რომ ტელევიზიით გამოვლენ ეკლესიის მამები და ამ ჩვენს პუბლიკაციებს შეაფასებენ ბრძოლად პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ და კვლავ არაფერს იღონებენ პუბლიკაციებში დასმული პრობლემების აღმოსაფხვრელად.***

***უფლისა და ერის სიყვარულით ვაცხადებთ, რომ ეს არის ბრძოლა ეკლესიისა და ქრისტეს მცნებების დაცვისთვის, რისთვისაც მზადა ვართ მოძღვრისგან ეპიტემიის დადებისათვის.***

**რედაქტორი**

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი   გ ვ ე რ დ ი

## ეძღვნება ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას

# გაწირვა

*(დოკუმენტური მოთხრობა)*

*ქვეყნდება პირველად*

**ლეილა ცომაია**



ძრწოლვით გამოეღვიძა. სასოწარკვეთილება სულს უთხრიდა. არეული მზერა კალენდრის ფურცელზე მოუხვდა. 13 ოქტომბერი. პარასკევი. ირგვლივ გაწითლდა ყოველივე. სისხლით შეიღება. პილატეს ხელების დაბანის სცენა წარმოესახა. უარესად შეშფოთდა. „ნუთუ გაგვწირავს მამალმერთი?...“

ოთახში ისე ბნელოდა, თითქოს არ გათენებულა. რა ნახა?.. არ გაამხელს! არც თავს გაუმხელს. და არ აუხდება, ასე გაუგია მოხუცებისგან. არ აუხდება!

თავი მოიწესრიგა და შინიდან გავიდა, გაალწია. სუნთქვა ოდნავ გაეხსნა. თუმცა, გარეთაც მძიმე დღე იდგა, ღრუბლიან-ბურსიანი. „ნეტავ იწვიმოს და მალე გაცისკროვნდეს. იწვიმოოოს!!!...“

უნივერსიტეტის ეზოში სიმრავლე იყო. დღეს ირაკლები უნდა მოსულიყვნენ. სააქტო დარბაზში მიტინგი უნდა ჩაეტარებინათ წვევამდელების აქციის გამო. წვევამდელები, სპორტის სასახლის ცივ იატაკზე პროტესტით იწვნენ: „არ გვინდა საოკუპაციო ჯარში“. ირაკლები სტუდენტებისგან მხარდაჭერას ითხოვდნენ.

მოვიდნენ: ზვიად-მერაბის ბოკვერები. მეგაფონებით აღჭურვილნი. მიკროფონებს არ ურთავდნენ, რადგან! დარბაზსაც იძულებით ულებდნენ. ქუჩის აქციას უფრო უფრთხოდნენ, რადგან! წითელი პროფესურა. უღირსებო ელიტა.

ირაკლებმა ლილი გადაკოცნეს.

– საკმაო ხალხი ჩანს, ეზოში ჩავატაროთ... ანცი ღიმილით თქვა წერეთელმა.

ლამაზირაკლიმ და ლილიმ მიხვედრით გაიცინეს. სიმრავლე ხომ წერეთლის სტიქია იყო. მიკროფონს ჩაბღუჯავდა და სათქმელს გულსა და ენერგიას არ დააკლებდა. მთელი საათი ილაპარაკებდა, თუნდაც...

– დარბაზში ამოდით. იქ უფრო უკეთესი არ არის? მშვიდად ჩაატარებთ.

თავს წამოადგათ მაღალი რექტორი. გაავებული პატიჟი.

წერეთელმა თანამზრახველთ თვალი ჩაუკრა. მასპინძელ-რექტორს ღიმილით მიჰყვნენ.

დარბაზი სტუდენტებით ივსებოდა.

- ლექციებზე დადიოდეთ ასე!.. პარტკომმა მკვახედ შეუძახა სტუდენტებს. ბრაზი.

ლექციებზე: მეცნიერული კომუნიზმის (იფ!), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის (კონგლომერატი), ათეიზმის (ანუ შურისძიების - „მე მსურს შური ვიძიო იმაზე, ვინც ციდან მმართველობს“ - გიჟი-მარქსი), მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის (რელიგია ხალხის ბანგია), სოციალისტური ეკონომიკის (დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს) ჰი, ჰი, ჰი... უტოპისტები. საბჭოთა სამართლის (ხა, ხა, ხა, ხა!).

ჩვენი რაა, რომ ამშვენებს, ჩვენს ამომგდებ საბჭოეთსა?

– მოეთრნენ... სტუდენტებს კვლავ აგვიბუნტებენ... ველარ დავუხშეთ ამ ტაძრის კარი...

ბრაზს ვერ იოკებდნენ კომკავშირის ლიდერები (მიროზოვშჩინა).

– რას დაუხშობ, ისე ნათელი მზერით მოდიან... ფიქრიანად თქვა მოადგილემ.

– შენ რა, სიმპატიები ხომ არ გაგიჩნდა?! შეუტია მისმა მდივანმა.

კომკავშირლებმა სცენის კიბე მჭიდროდ დახერგეს. პარტკომ-ხუროძის მითითებით. იგი დარბაზის თავში იდგა: ჟამისფერი, მსუქან-ახმახი. და ყორნის თვალებს სიბრაზისგან აელმებდა (მიკროვარლამი). რვა აპრილს რომ, პარტაქტივის გუნდში ბღაოდა: „გვიშველეთ, დიდო საბჭოეთო, თორემ გვამხობენ!“ და რუსულ ტანკებს სიამის მზერას აგებებდა. ახლაც ყინჩად დააბიჯებს ცოდნის ტაძარში: მკვლელი. „მაინც რომ ვერ ვასწავლეთ ჭკუა?“..

– დაიწყე, ირაკლი! დააჩქარა ლილიმ წერეთელი.

– მაშ არ აგვიშვებენ?.. სცენისაკენ გაიხედა ირაკლიმ.

– არა უშავს, აქედან ვილაპარაკოთ... მშვიდად თქვა ლამაზირაკლიმ (ბათიაშვილმა), წერეთელმა მეგაფონი მოიმარჯვა.

- თანამემამულენო! უნივერსიტეტის სტუდენტებო!.. თქვენ, ალბათ მოგეხსენებათ, რომ ორი კვირაა, ეროვნული ძალების ინიციატივით, კერძოდ, ბატონ მერაბ კოსტავას ლიდერობით სპორტის სასახლესთან დაიწყო წვევამდელების საპროტესტო აქცია. უნივერსიტეტის სტუდენტებს, ალბათ არ გჭირდებათ ამ აქციის მნიშვნელობაზე საუბარი, მხოლოდ უნდა გაუწყოთ მიზანი: ეს აქცია უნდა გადაიქცეს მძლავრ საპროტესტო ტალღად და მოიცვას სრულიად საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ აქციის კერები უნდა გაჩნდეს საქართველოს ყველა ქალაქსა თუ დაბაში. არც ერთმა ქართველმა ვაჟკაცმა არ უნდა იმსახუროს დამპყრობელ რუსეთის იმპერიის ჯარში.

სტუდენტებო, ხვალ თქვენი ჯერი დადგება, ხვალ თქვენც გაგიწვევენ...

ამიტომ თითოეული თქვენთაგანის ვალია აქტიურად დაუჭიროთ მხარი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის აქციას. სპორტის სასახლესთან მყოფ წვევამდელებს ჭირდება დაცვა. დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობები, მოგიწოდებთ...

` დარბაზში, უცაბედად ჩოჩქოლი ატყდა.

– ირაკლი, შეწყვიტე!.. განგაშის ხმით მოსთხოვა ლილიმ.

– რა იყო? რა მოხდა?!

– მერაბიო... მაცნემ...

– რაო! რაო!!...

– გვითხარი!.. ლილი მოგუდული ყვირილით მიუბრუნდა მაცნეს.

– პოლიტექნიკურის სტუდენტი ვარ, ბატონ ზვიადთან დარეკეს, მერაბი დაიღუპაო...

– გაგიჟდი?! ვინ თქვა! სად!!

– კოშკიდან მოვდივარ... ბორითშიო... ავარიითო...

– მოუწყვეს!... - ძრწოლვით გამოსცრა ლილიმ.

– იქნებ ჭორია, დავაზუსტოთ... თქვა ლამაზირაკლიმ.

დარბაზში ხალხი ვერ გაერკვა. ყველას შეჩოჩქოლებული ჯგუფისკენ მიეპყრო მზერა.

– გამოაცხადე!.. რაღაც მაინც გამოაცხადე! უკარნახა ირაკლის ლილიმ.

ირაკლი წუთით მძიმედ შეყოვნდა. გულჯავრიანად ამოიოხრა. და გაბზარული ხმით წამოიწყო:

– მეგობრებო... ცნობა მოვიდა... რომ მერაბ კოსტავას... რაღაც შეემთხვა. ჩვენ ამბის გასაგებად წავალთ!

თქვა და დაიძრნენ. და დარბაზში დატოვეს შფოთი.

ქუჩაში წვიმდა. პატრიოტებმა ზედ შუაზე გადაჭრეს ქუჩა. მძღოლებმა სიგნალები ბრაზიანად აახმიანეს. სამივენი ერთ-ერთ იძულებით გაჩერებულ მანქანაში ჩასხდნენ.

უშიშროების სამინისტროსთან ფორმიანები მზადყოფნით დახვდნენ. შენობის შესასვლელთან გაემწკრივებინათ. ირაკლებმა შესვლა მოითხოვეს. არ შეუშვეს. შენობასთან ხალხმა იმატა. უნივერსიტეტიდან სტუდენტებიც წამოსულიყვნენ.

– მერაბის შესახებ, მართალია?!... ჰკითხა ლილიმ დამხვდურთ.

– არ ვიცით! რიგითებმა მოკლედ და გულგრილად მოუჭრეს.

ირაკლები გაღიზიანდნენ. აღშფოთდნენ.

– მინისტრ შადურს გადაეცით ჩამოვიდეს, თორემ შენობაში ძალით შემოვიჭრებით! უთხრა წერეთელმა ჩინიან ახმახს, რომელიც უმალ წავიდა.

გივი შადური მალე გამოჩნდა. ქონდრისკაცი რიხით წარუდგა გულზვიად მომხვდურთ. გულმკერდი გამობრიქა.

– რაშია საქმე! კარს მოსცილდით! გზას რატომ კეტავთ!

– მართალია, რაც მერაბის შესახებ შევიტყვეთ?.. არწივის მზერით ჩაჰკითხა წერეთელმა.

– მართალია. ქონდრის კაცმა მშვიდად მიუგო.

– როგორ!! ირაკლებმა შეურიგებლად შეაგებეს.

ქონდრის კაცმა მშვიდადვე განუმარტა:

– ჩვეულებრივი ავარია მოხდა. შემხვედრმა მანქანამ გვერდიდან დაარტყა და გადააგდო. ისინი დიდი სიჩქარით მოდიოდნენ. მერაბი იქვე გარდაიცვალა. ჭავჭავაძე მძიმედ დაშავდა, თამარ ჩხეიძე, მსუბუქად. ჩვენი წარმომადგენლები და მილიციის სამმართველოს უფროსობა ამ დილით გადაფრინდნენ ბორითში. თქვენი ზვიადიც იქ ბრძანდება. ახალ ცნობებს ველოდებით. დაიშალეთ!

– დაგვაკავშირეთ ბორითს! - ფოლადის ხმით მოსთხოვა ლილიმ.

– ბორითში პირდაპირი ხაზი

გაგრძელება მე-9 გვ.

## ლიტერატურული გვერდი

# ეძღვნება ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას

დასაწყისი გვ. 8

არ არის! - თვალების მრისხანე ბრიალით მიუგო ფორმიანმა შადურმა.

– მაშ, რაიონის ინსპექციას!.. - კვლავ ფოლადის სიმტკიცე გაჟღერდა ლილის ხმაში.

– ჭირს...

– სცადეთ!...

ყოყმანი.

– ორნი შემოდით...

ლილიმ გზა ირაკლებს მისცა. ირაკლები შადურს მიჰყვნენ. ლილი გულდამდუღრული განმარტოვდა. წვიმდა. „ნუთუ უნდა ახდეს სიზმარი... იქნებ დაშავდა...“ იმედის ჭიატით აღაპყრობდა მზერას სამინისტროს ფანჯრებზე, საიდანაც, დრო და დრო, ირაკლები იხედებოდნენ. ვერ უკავშირდებოდნენ. წვალობდნენ. ნერვიულობდნენ. მტკიცედ ჩაფრენოდნენ ყურმილს. „რომ დარეკონ და ჩამოგვძახონ: ცოცხალია!“ გული შეუთრთოლდა ლილის. „ის გოგო დაღუპავს მერაბს! უთხარი, ნუ წავა!..“ „უყვარს, ბატონო ზვიად... და თუნდაც ჯოჯოხეთში წავა, მასთან ერთად... თქვენ არ გიჯერებთ?..“ „აღარ... ველარ ვცნობ... არასოდეს



იყო ასეთი უპასუხისმგებლო... ვეღარ ვაგონებ, რომ ჩვენი სიცოცხლე საქართველოს ჭირდება, ჯერაც... სალაპარაკოდაც ველარ ვიხელთებ... იმოდენა აქცია წამოიწყო და ქუთაისში მიდის, იმ ქალბატონს მიჰყავს... არ არის ეს გზიდან გადაყვანა?!.. ნახე, ლილი. მერაბი... იქნებ, გადააფიქრებინო...“

ვერ ნახა. ვერსად ნახა. ვერც სპორტის სასახლესთან, ვერც სახლში, იმ ღამით ძალიან გვიან მოსულიყო შინ. და ძალიან ადრე წასულიყო.

წითელქუდიანებს შორის ირაკლები გამოჩნდნენ. ლილიმ შორიდანვე სტყორცნა მზერა. გაფითრებულები ჩანდნენ.

– დარეკეთ?! მღელვარედ მივარდა.

– აღარ არის...

ირაკლებმა თავი ჩახარეს. სულშეძრულ ლილის სიმწრით აღმოხდა:

– გაგვწირა ღმერთმა... კაცმაც გაგვწირა...

თვალიდან ღვარად დიოდა ცრემლი.

– კინოს სახლთან მივიდეთ... სამგლოვიარო მიტინგი ჩავატაროთ.

დაზაფრული ხმით თქვა ლამაზირაკლიმ. წერეთელი მდუმარედ გაუძღვა.

– სად დავკრძალოთ, დიდუბეში?.. წერეთელმა მეგობრებს ჰკითხა.

– მთაწმინდაზე... უმალ თქვა ლილიმ, ლამაზირაკლიც დაეთანხმა.

– ზვიადიც, ალბათ ასე ფიქრობს... შეთანხმებით თქვა წერეთელმა.

– მე არ მჯერა, რომ ავარია შემთხვევითია. მერაბისთანები შემთხვევით არ კვდებიან... რას დაგიშვიათ მეგაფონი, ხალხს აუწყე, რომ მერაბი მოკლეს. ნერვიულად მოუწოდა ლილიმ ირაკლებს.

– ზუსტ ცნობას უნდა დაველოდოთ... თქვა ლამაზირაკლიმ.

კინოს სახლთან ხალხი უკვე შეგროვილიყო. ირაკლების გამოჩენაზე ჩოჩქოლი ატყდა. შეძრწუნებული მზერა მიაპყრეს. ირაკლები კიბეზე შედგნენ. წერეთელმა მეგაფონი მძიმედ ასწია. მერაბის აღმართსააყოლა მწუხარე მზერა. ხალხი გაყუჩდა.

– ქართველნო!.. დღეს... მეხი გავარდა საქართველოს ცაზე... გლოვა გვმართებს სრულიად ქართველთ... ქართულ ეროვნულ მოძრაობას გამოეცალა მისი ბურჯი მერაბ კოსტავა...

– გამოაცალეს!.. ნათქვამი შეასწორა ლილიმ.

მოედანზე ქვითინი და გლოვა გაისმა. ირაკლებმა სამგლოვიარო მიტინგი მალე დაასრულეს.

მერაბი ქალაქის პირველ საავადმყოფოში უნდა მიესვენებინათ. ხალხი დაიძრა.

„გაინაპირეს... ვერაგულად გაინაპირეს“...

– იცი, კოშკი სავსეა ხალხით... მწარე განსჯიდან დისშვილის ხმამ გამოარკვია.

– შენ იქ იყავი? ჰკითხა ლილიმ.

– ჰო. რომ გავიგეთ, მე და დედა მაშინვე იქ გავიქეცით... მერე აქეთ გამოვეშურეთ... ვითომ ავარია მართლა შემთხვევითი იყო?..

ეჭვი. ლილიმ, პასუხად, ჭკვიან თვალებში ჩახედა დისშვილს.

– იცი, ბატონი ზვიადი მეცოდება. შენ?.. ჰკითხა დისშვილმა.

– მეც!

მორგი ახალ მიცვალებულს ელოდა. ცივი და ყრუ. გვამების სუნით გაჟღენთილი. აქა-იქ ზეწარგადაფარებული მიცვალებულები ესვენენ. და არარაობადქმნილნი ყარდნენ. მერაბიც მოასვენეს. გმინვით შეჰყვა მორგში ზვიადი. ეს ახალი მიცვალებულიც ჩვეულებრივ მიიღო მორგმა. ზვიადს სიფითრე ეძალებოდა. მწუხარედ იდგა მის გვერდით ცოლიც. ლილი მათ მიუახლოვდა. თანაგრძნობის ხმა ძლივს გაიღო:

– ზვიად... მანანა...

– მარჯვენა მხარი ჩამომათალეს!..

ზვიადის მწარეტკივილიან ნათქვამს მიუხვდა მანანა, ლილიც. დიდძალი ხალხი იდგა ღამეში. მიცვალებულის გაპატიოსნებას ელოდნენ. რომ პატივით წაესვენებინათ.

დიდი ხნის შემდეგ გამოასვენეს. და გზას მდუმარედ გაუყენეს. ღამეში პროცესიათა ფეხის ხმა ისმოდა მხოლოდ. მანქანები კანტი-კუნტად დაქროდნენ. პროცესიის დანახვაზე სვლას ანელებდნენ. უკვირდათ, ამდენი ხალხი, ამ შუა ღამეს, ფეხით თუ ვის მიასვენებდა. „მერაბის... მერაბის... მერაბის...“

მანქანებიდან გადმოდიოდნენ. პროცესიას უერთდებოდნენ. ეროვნულ გმირს მწუხარ ღამეში დახრილ დროშების მდუმარებაში მიასვენებდნენ. მოკვდა იმედი შინდისფრად მფენი. და მყის, პირაფშმულ უფსკრულიდან, ზრიალით იშვა ხოკერა შიში. ზაფრანის სქელი ფერი ედო მყიფე სიჩუმეს. ელდის ნაპრალში ზაფრანისფრად იდგა ზვიადიც. კაცები კუბოს რიგ-რიგობით ენაცვლებოდნენ. მიასვენებდნენ. ჩხვიმიან დოდოს სვანური ზარით.

აღარ ეძინა ზანტ თბილის-ქალაქს. დიდი თვალები ელდით ეხილა. და ჩაჰყურებდნენ გალურსულ ღამეს. უბუდდებოდათ მზერაში: შიში. გათენება უჭირდა ღამეს.

1989 წ.

# რექვიემი



ღვინობისთვის ცამეტი.
ფერი - ედელვაისის.
როიალზე მბორგავი
აკორდები „დაისის“.
ვიოლინოს სიმებში
ქერუბიმთა ზმანება...
ბეთჰოვენი, შოპენი, -
ზათქებად და ზარებად.
ცრემლიანი ტრაპეზი.
ფაიფურის სინაზე.
კოშკი–ჩამორღვეული, -
ანაგები სილაზე...
ღვინობისთვის ცამეტი.
ღვინო–კარდანახული.
მერაბ, საით წახვედი, -
ასე კარგდანახული?!
ზვიად, საით წახვედი,
სად არს შენი ლაშქარი?!
ვის გაუწყრა ლომისა?!
ვის გაუწყრა ლაშარი?!
მეზმანება თევდორე,
ღვაწლით - არა მცირედით! -
გზა გაიგდო ქვენადრისს,
მოიტოვა ცხირეთი!..
მოიპოვა საუნჯე
და მეფური წამები...
ქრისტეს გზაზე იარა,
ტკივილით და წამებით.
თქვენ კი, დიდო გმირებო,
არ შემოგხვდათ თევდორე...
თქვენი ჯაჭვის პერანგი
სისხლით გამოვიგლოვე.
ვაი, ქრისტეს მხედრებო,
სად ხართ? სად გაიფანტეთ?!
ზანას ქვებზე დავეცი,
ლვიძლი გამოვიფატრე,
იმედით და ლოდინით...
რისხვა–უკიდეგანო! -
გულზე მადევს ლოდივით...
ღმერთო, ამატანინე,
სევდა–ჯერ არნახული!...
ღვინობისთვის ცამეტი.
ღვინო–კარდანახული.

**თინათინ მღვდლიაშვილი**

# არსებობის ტკივილი, ანუ დიდ ადამიანთა ტრაგიკული ხვედრი

ძნელია არსებობის ტკივილი, მით უფრო გამორჩეული ადამიანისა, რომლის სულიერი მდგომარეობა ათასების შეჭირვებას სჭარბობს და თან მრავალის გულისნადებს ამჟღავნებს. მწუხარე განცდა ორკეცდება, როცა დროც მუხთალია და დაუნდობელი, როდესაც ეპოქა ყველაზე დიად და ერთგულ შვილებს სწირავს, ორგულთ კი აღაზევებს, მძიმეა ხვედრი გენიოსისა, მით უმეტეს თუ ამას სამშობლოს სატკივარიც თან ერთვის.



გალაკტიონის ცხოვრება რთულია, შენიღბული ათასი დაუტეველი თუ შეფარულ-შეუფარავი ტკივილით. მის პოეზიაში ყოველივე გაცხადდა და ამ სიტყვიერ ჰარმონიაში, მშვენიერ არსში, მხატვრულად ძლიერ შემოქმედებაში მთელი სიცხადით იგრძნობა გენიოსის მხრებს დაწოლილი გაუსაძლისი ტვირთი, რომელიც მის ფაქიზ სულს უმოწყალოდ სრესდა, ანადგურებდა, რამხელა სატკივარს იტევს მის მიერ თქმული:

„დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ
მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოოდენ უდაბნოა მთელი
ქვეყანა“.

და იქვე უფრო მწვავე ნათქვამიც: „ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო“. აქ უნებურად ბალზაკის საოცარი სიტყვები მაგონდება - „მარტოდმარტო ვიყავი ამ ცოცხალ, სულდგმულ, ქვებით მოფენილ უდაბნოში, სადაც ყველანი შენთვის მტრებზე უარესნი - სრულიად გულგრილნი არიან“.

ძნელია გაუძლო დროისა თუ ადამიანთა უკუღმართობას. მწარეა პოეტის დასკვნა, რომელიც კოშმარული რეალობიდან გამომდინარეობს -

მეგობრობაში, სიყვარულში, შურში,
მტრობაში,
მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტოობაში?

უეცრად ხვდები, რომ მარტოობა, რომელიც უკვე შენი მდგომარეობაა, თურმე არჩევანიც ყოფილა - „შემეძლება კი სიყვარული და მეგობრობა?“ შეუძლებელი ეს არ იყო მისთვის, მას უბრალოდ ამის ღირსი ადამიანი არ ეგულებოდა, ამიტომ სტანჯავდა „სიცარიელის შავი ნისლი“. ხვედრის გაუზიარებლობა, პიროვნების შეუგნებლობა ჩვეულებრივი მომენტია გულდახშულ სამყაროში. გრძნობაგაუმთბარი პოეტის ღაღადისიც აღარ გკვიკვირს - „არ გებრალებით? მე მქონდა გული, ახლა ის არის როგორც ყინული“.

მძიმე და აუტანელი იყო სინამდვილის, ყალბი დროების კოშმარი - „ყოფნა უმზეო“... განაწამები სული თავის სიწრფელის გამო გრძნობს მარცხს, აშკარაა ზნეობრივი გამიჯვნა, ამიტომაც მტკივნეულიც, როცა ის რჩება როგორც განძარცული

„ბავშვობიდანვე იყავი მარტო ჯვარზე
გაკრული;
შენ სული გქონდა მეტად ფაქიზი და
დაჩაგრული,
ვიღაცამ ალბათ გაიარა შენს სპეტაკ
სულში“..?

ასეთ დროს მისი ეს დაეჭვებაც ბუნებრივია - „ნუთუ, ზეცაო, ვით მე მიყვარს შენი დიდება, ისე გიყვარდი?“

სულისთვის თავშესაფარი არსად ეგულება, არც თანამგრძნობი, ამიტომ გაქცევა ამ სამყაროდან მით უფრო სასურველ სახეს იძენს:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ყოველი ადამიანის ცხოვრება როდია დაღდასმული, მხოლოდ რჩეულთ ცდის განგების ძალა; მათ, ვინც არ იციან კომპრომისი სიმუხთლესთან, ვისაც ძალუძს გალაკტიონივით უთხრას საკუთარ თავს - „და ცხოვრება გიყვარდა, როგორც ბრძოლის პიესა“; ვინც განვლის „სევდიან საზღვარს“, რათა არ მიიღოს „დრო მოწვდენილი შხამიან სასმით“, მას არ მიუღია „ჟანგი წითელი ფერის“, რომელმაც სისხლისფრად შეღება არა მარტო ეპოქა და მატერიალური საგნები, ვით ადამიანის ხელშეუხებელი სულიც.

ქალაქი მისთვის მიუღებელი გახდა, შეუთვისებელი:

„ფანტასტიურო! დამაავადეს შენმა
სახლებმა და შენმა გზებმა!
ცა, მარტოობა, სული თავადის,
და ერთადერთის მრავალთან შებმა!“

მას უნთია „მარტოობის სანთელი“ და იცის - „უბედურ საათს არვინ დაგიცავს“, რომ „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში“...

ერთ-ერთი მეცნიერი შენიშნავს - „გალაკტიონის მთავარი ოპონენტი იყო შური“. ცხადია, პოეტიც გრძნობდა სხვათა გამწარებას, მაგრამ გულმართლად და აუღელვებლად შეეძლო ეთქვა: „და მებრალება მე ჩემი მტრები - არ ვიცი მტრობა“. მისი მტრები კი სამშობლოს მტრებიც არიან! გალაკტიონს ფარულად იბარებენ უშიშროებაში და კონფიდენციალურ საუბარს უმართავენ. სპეცსამსახურების ხელი ურევია, აგრეთვე, მისი ერთ-ერთი არაჩეულებრივი ნაშრომის „ქართული ორნამენტის“ გაქრობაში. მაინც გაბედული არჩევანია, როცა ხმამაღლა იტყვის - „ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი“. „ამღვრეულ ტვინებს“ არ აწუხებთ საქართველოს გაცამტვერება. ასეთი შემზარავი თანამედროვეობის გამო ბუნებრივად ჩნდება სურვილი, რომ წარსულში დაიგულოს თანამოაზრენი, გარშემომყოფნი კი მკვდრად ჩათვალოს, სულმიხდილებად -

„არ დაელევა სულს სანდომარი -
მიცვალებულის სადღეგრძელო სთქვას,
ცოცხლის კი მხოლოდ შესანდობარი?!“

აქვე გურამ დოჩანაშვილის ცნობილი ფორმულა გაგვახსენდება - მათემატიკას არაზუსტ მეცნიერებად რომ მიიჩნევს და ეჭვობს ერთს მიმატებული ერთი როგორ უნდა იყოს ორი, სერვანტესი და ვიღაც „ვიგინდარა“ როგორ ნიშნავს ორ კაცს. ასევე ძნელი არ უნდა იყოს განასხვაო რომელი უფრო ცოცხალი სამყაროა იმიერი თუ ამიერი, როცა მიღმიური სჯობს აქაურს. არის სიმართლე, რომელსაც მავანი ვერ გრძნობს... ასეთ დროს განმარტოება ერთადერთი გამოსავალია - „ბედნიერება მარტოობაა - რა ვპოვე ბრბოში მე სიარულით?“ მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ათასგვარი ჭირსახდელი და განსაცდელი გადააქვს ადამიანს და მაშინ გრძნობს, რომ „სივრცეა მაღალი“, „რომ „სული დაეძებს უშორეს ხაზებს“, რომ სხვებს დაშორდა, განცალკევდა, რათა „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“ გადაერჩინა, ამაოების მტვერი შემოეფერთხა... სისასტიკისა და უზნეობის პასუხი კი ესაა:

„როსმე მჩქეფარე, ცხელი,
გაყინულია სისხლი,
თვალთაც არა აქვთ ცრემლი,
გულს შებრალება სხვისი.
და შეკითხვაზე: „შენს გულს
რა დაემართა, რა სურს?“
ცისკენ აღაპყრობ ხელებს,
კაცთ კი არ მისცემ პასუხს.“

მწერლის ასეთი კარჩაკეტილობა, უცნაურობა დიდი თავდაზღვევა იყო. ის, როგორც მეციხოვნე, ისე იცავდა თავის არსებობას. მარტოსულობა მღვრიე, არეულ დროში საჭირო და აუცილებელი გახდა. მატერიალური უქონლობის პირობებში დიდი პოეტი სულიერ დოვლათს იხვეჭდა. გაუცვეთავი, მზიანი სულით აგრძელებდა არსებობას. მანამდე იყო მარტოობის მწარე ფიქრები, მწვავე შეგნება იმისა, რომ „არავინაა მავანი, გაგიყოს მოცალეობა“... ყრუ კედელი აღიმართა გალაკტიონს და გარშემომყოფთა შორის, დახშული სივრცე. შეგნებული იყო და მიზანდასახული ასეთი დიდი უარყოფა. გონებასიმახვილით შენიშნა გენიოსმა, როგორ დაიკეტა მის წინ ყველა კარი სიხარულის, იმედის, ჭირთა გაზიარების. ხელოვნურად შექმნილი დუმილი ჩამოწვა, რათა ამას საბოლოოდ გაეთანგა მისი მგრძნობიარე სული, ისედაც აწეწილი „მწარე ქარებით“. ამიტომაც გულშეძრული იტყვის დიდი გამხელით -

„ნეტა, როგორ ხდება ასეთ სიბნელეში,
შენ ცას რომ ანათებ და შენ
ვერვინ გხედავს, და
შენ ვერ უგრძვნიხარ,
ო, რა მიზეზია, ნეტა გაცოდინა
ასეთ დაბრმავების,
გასაოცარია ძლიერ, მეტისმეტად.“

ასეთი იყო არა ერთის ბედი. სისტემა ნერგავდა ალალი შვილების გზიდან ჩამოცილებას, გულისმომკვლელ და შემძვრელ მარტოობას. ცხოვრების მკაცრი სუსხი უგრძნობლად თელავდა „სულში ნაადრევ იებს“. ნაგრძნობი მხოლოდ ტკივილი იყო; ღვინოსღა გაუყო სევდა და სულის წუხილი პოეტმა, რადგან იგრძნო, რომ „ყველაფერი არის სიზმარი და რომ ყველაფერს დააგვიანდა“. სასმელს მიძალებაც ერთ-ერთი თავშესაქცევი იყო განაწამები სულისთვის, რადგან სისხლით თრობის საუკუნე ჩამოდგა ავი ზმანებით, რომელსაც შეეჯიბრა ღვინით შექმნილი სხვა სიცხადე; მედიციცნის ენით რომ ვთქვათ, პოეტისთვის „მეორე სუნთქვა“ჩაირთო! აკი თავადაც ადასტურებს

„ღვინის გადაჰკარ თასი, ასი ათასი ასწი!
ეს ადვილია ვინემ, შველად მოვიდეს ვინმე...
დროთა სიკვდილი როა, ასწი,
გადაჰკარ დროა!“

ის საუკუნეთა ლაბირინთისკენ მიაბიჯებდა მარტოკაცი დიდ სამყაროს ნაზიარები და პატარას შეჭიდებული, მიაბიჯებდა სხვათა თუ საკუთარი ტკივილით გათანგული და ეს ნაბიჯები გოლიათის უდრეკ სვლას ჰგავდა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ:

„ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,
მაინც მწვერვალებს ედება ქარი...“

მწვერვალის სიმაღლემდე ასვლა კი ყველას არ ძალუძს, ასეთ სიმაღლემდე შემოქმედის უმსუბქესი თეთრი ფრთებით უნდა მიხვიდე. ეს კი მხოლოდ თავგანწირულთ შეუძლიათ. ცხოვრება ხომ ღირსების ომია და ზოგჯერ მასთან მარცხშია გამარჯვების წინაპირობა, სამუდამოდ მოპოვებული!

ასეთი იყო ხვედრი და ტკივილი ბარათაშვილის, ილიასი, ზვიადისი, მერაბისი, მიხ. ჯავახიშვილის... მათ სიკვდილშიაც არ ჰქონდათ ბედი! უმწარესი ტკივილით გაეცალნენ დედამიწას... დიდი იყო გამეტების და სიძულვილის აგონია ამ სიყვარულის ქურუმთა მიმართ! მათ დაურიდებლად შესვეს სიცოცხლის შხამი და ეზიარნენ ტკბილ უკვდავებას... გარემოც ყრუ მხოლოდ რჩეულთა მიმართ აღმოჩნდება ხოლმე; გულმხურვალე თავგამეტებულთა ღვაწლი გვიან თუ ფასდება, როცა მათი წრფელი და ვრცელი სული ცას შეეხიზნება უკვე. არა და რა დიდი საყრდენია იმათი არსებობა და რა ცარიელი იქნებოდა ეს სამყარო მათ გარეშე! ყოველ დროში ჭირს სულისმოსათქმელი ალაგიც და დარდის გამყოფი, მანუგეშებელი ადამიანიც, ამიტომაცაა მარადისი ეს ტკივილები. მათ ხომ ცხოვრების შეცვლა ეწადათ!

**ლალი ბარძიმაშვილი**
ფილოლოგი, მკვლევარი

დავით არაბიძე

# აგვისტოს გაკვეთილები

*„როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს, რუსეთის, არც თუ ისე დიდი ძალებისათვის, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას შეიარღებული ხალხი კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მათთან ერთად ერთგული მიურიდების მცირე რაზმი. მთელი ეს ასაბია სულ იოლად გადაისროლეს ზღვაში“.*

*ზურაბ ავალიშვილი*

## „თებერვალი აგვისტოში?“

ამ სიტყვებით თითქმის სრულად არის გადმოცემული შარშანდელი აგვისტოს ომი. 1921 წლის თებერვალ-მარტის შემდეგ 8 ათეულზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ საქართველო რუსული ინტერვენციის წინაშე კვლავ 1921 წლის სტილში წარსდგა.

რუსული დესპოტიის ვერაგობა მრავალ საუკუნეს მოითვლის, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვერაგობა, რაც მათ გამოუვიდათ იყო აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გაცურება.

2002 წლის მაისში ჯორჯ ბუშმა და იმჟამად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, სადაც აღნიშნული იყო „ჩვენ ვაღიარებთ, რომ ჩვენს საერთო ინტერესს წარმოადგენს ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ყველა სახელმწიფოს სტაბილურობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეწყობა“. ეს დოკუმენტი ვლადიმერ პუტინისთვის აღმოჩნდა ის შირმა, რის უკანაც მან სისხლში ჩაახშო ჩეჩენი ხალხის ეროვნული მოძრაობა, განახორციელა ავტორიტარული საპრეზიდენტო სისტემის დამკვიდრება და შეკრა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მყარი ალიანსი. ამის მიღწევისთანავე რუსეთის მმართველმა რეჟიმმა იგრძნო, რა ძალა ვლადიმერ პუტინის პირით 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, დასავლეთს დუელში გამოწვევის ხელთათმანი მიუგდო. ამ დროიდან რუსეთი მიზანმიმართულად უპირისპირდება დასავლეთს, განსაკუთრებით კი აშშ-ს. ამ გამოწვევის შემადგენელი ელემენტია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მეტიც - რუსეთის დაბრუნება ლათინურ ამერიკაში, როგორც იარაღის უდიდესი მიმწოდებლისა.

მოსკოვი მიზანმიმართულად აიარაღებს ვენესუელის პოპულისტ-დიქტატორს უგო ჩავესს. აღსანიშნავია, რომ მიწოდებული იარაღი შეტევითია, ბომბდამშენები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, შორსმსროლელი არტილერია და რაც მთავარია, ტანკები, 100-ზე მეტი ტანკი T-72. ამ შეიარაღების მიწოდების შემდეგ ვენესუელას ექნება იმდენივე ტანკი, რაც ჰყავს ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს და თუ გავითვალისწინებთ რომ უგო ჩავესისთვის ყველაზე საძულველ კოლუმბიას საერთოდ არ ჰყავს არც ერთი ტანკი. ეს ნიშნავს, რომ პუტინ-მედვედევის რეჟიმი ვენესუელის სატანკო პარკს ზრდის 300 ერთეულამდე, რაც უგო ჩავესს აძლევს 2 სატანკო არმიის ფორმირების საშუალებას, ანუ კოლუმბიის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაწყების მატერიალურ ბაზას. მოსკოვი ვაშინგტონს ამერიკის კონტინენტზე უქმნის დიდი ომის კერას. ამ ვერაგული გეგმის მთავარი მიზანია ვაშინგტონის სრული ყურადღების გადატანა ლათინურ ამერიკაში, რათა პუტინ-მედვედევის რეჟიმს ხელი გაეხსნას იმპერიული ამბიციების დაუბრკოლებლად გასატარებლად.

## ნიუნბერგის აჩრდილი

1927 წელს ერთა ლიგამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში მიიღო დეკლარაცია, სადაც აღინიშნა „ყოველი აგრესიული ომი არის და რჩება აკრძალული“.

1946 წელს ნიუნბერგის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილ განაჩენში აღინიშნა: „აგრესიული ომის გაჩაღება არაა უბრალოდ საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, იგი უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულია“.

1974 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის 29-ე სესიაზე მიიღო რეზოლუცია № 3314, სადაც აღინიშნა: „აგრესიაა ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა ან თავდასხმა“.

2008 წლის 8 ივლისს რუსეთის შეიარაღებული ძალები, მისი საბრძოლო ბომბდამშენები საქართველოში შემოიჭრნენ, რაც ოფიციალურად დაადასტურა 10 ივლისს რუსეთის ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა სერგეი მაკაროვმა, ხოლო 11 ივლისს ეს ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. რეზოლუცია „აგრესიის დეფინიციის შესახებ“ შესაბამისად ეს იყო აგრესია, ხოლო აგრესია ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილია და დანაშაულად არის აღიარებული 1928 წელს დადებული ბრიან-კალოგის პაქტით.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად პუტინ-მედვედევის რეჟიმმა 2008 წელს აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ნამდვილად იმსახურებს ახალ ნიუნბერგის პროცესს, რადგან ეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

## სეპარატიზმი-ფაშიზმი

ვინც სეპარატისტების ე.წ, კონსტიტუციებს გადაშლის, იხილავს, რომ თურმე ეს ე.წ, რესპუბლიკები არის „ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად შექმნილი სუვერენული, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოები“. რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ტერიტორია-



ზე თვითგამოერკვნენ, ეს ნამდვილად „ახალი სიტყვაა“ მსოფლიოს ისტორიაში და ალბათ რუსეთი ახლა ელოდება, როდის მოახდენენ, თუნდაც ჩინეთის მოქალაქეები თვითგამორკვევას ციმბირსა და ამურისპირეთში.

სუვერენიტეტი შეუთავსებელია საოკუპაციო ტანკებთან, სამართალი შეუთავსებელია ადამიანების ეთნიკური ნიშნით დევნასთან, დემოკრატია შეუთავსებელია ეთნოკრატიასთან, სახელმწიფო შეუთავსებელია ტერორიზმთან.

ბაღაფშისა და კოკოითის ტერორისტული დიქტატურების იდეოლოგიური ბაზისი ფაშიზმია. ამას არა ერთი ფაქტი ადასტურებს.

შარშან, ბაღაშფის რეჟიმმა, რუსული ტანკების საფარქვეშ აფხაზეთში მორიგი ეთნიკური წმენდა განახორციელა, კოდორის ხეობიდან განდევნა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, წელს პრაქტიკულად აიკრძალა ქართულ ენაზე, თუნდაც დაწყებითი განათლება გალის რაიონში.

ბაღაფშის ფაშიზმს ტოლს არ უდებს კოკოითის რეჟიმი. შარშან, 20 აგვისტოს ცხინვალის იძულებით შრომის საკონცენრტრაციო ბანაკთან, სანკტ-პეტერბურგის მარინსკის თეატრის ორკესტრის დირიჟორმა ვალერი გერგიევმა კონცერტი გამართა, ჰიტლერელები მართავდნენ კონცერტებს ოსვენცინის საკონცენტრაციო ბანაკთან. ამ სამარცხვინო ფაქტს მაშინვე მწვავე შეფასება მისცა დასავლეთის პრესამ, კერძოდ, 2008 წლის აგვისტო Time ასე შეაფასა ვალერი გერგიევის სამარცხვინო ქმედება „ჩააყენა რა საკუთარი თავი, რუსეთის სამხედრო ძალმოსილების მადიდებელი პროპაგანდის სამსახურში, იგი გადავიდა იმ ზღვარს, რომელიც ჰყოფს ხელოვნებას პოლიტიკისაგან, სილამაზეს მხეცობისაგან.

თავისი მუსიკალური ოსტატობა მან მოსკოვის სამხედრო აგრესიის ქება-დიდებაში გამოავლინა“.

წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში კიდევ ერთი ფაშისტური შაბაში გაიმართა. 10 სექტემბერს ცხინვალის „უნივერსიტეტის“ ე.წ. რექტორმა თეიმურაზ კოკოევმა ქალაქში საჯაროდ დაწვა ბიბლიოთეკებში დარჩენილი ყველა ქართული წიგნი. როდესაც 1933 წელს 10 მაისს ჰიტლერელებმა წიგნებისაგან ჭია-კოკონა მოაწყვეს, ამით გერმანელი ხალხი კატასტროფისკენ წაიყვანეს. სეპარატიზმი თვითმკვლელობის სტრატეგიაა.

ამას თვითონაც ხვდებიან, აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერი ვ. ზანთარია აღიარებს: „აფხაზურ საუბარს დღეს მთის სოფლებში და იმასაც სამძიმარზე ან გასვენებაზე გაიგონებ“.

ოსმა სეპარატისტებმა კარგი „საჩუქარი“ მიიღეს რუსეთის სამშენებლო ტრესტებისგან, ბულდოზერებით მიწასთან გასწორდა ცხინვალის ისტორიული ებრაული კვარტალი.

სეპარატიზმმა დღეს აფხაზური და ოსური ენა სოციალურად არაპრესტიჟულად აქცია, აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც დღეს რუსიფიკაციის პოლიტიკა ხორციელდება. ქართველების წინააღმდეგ აფხაზი და ოსი ფაშისტების ხელით კრემლმა ეთნიკური წმენდის სტრატეგია განახორციელა, დღეს კი ეს ფაშისტები თავად იქცნენ მოსკოვის იმპერიალისტური სტრატეგიის სამიზნენი და ფეხაწყობილნი მიელალებიან ისტორიის საფლავში.

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, ჯერ კიდევ 2006 წელს რუსული ტელევიზიით საჯაროდ განაცხადა: „აფხაზეთის - იქით მშვენიერი ზღვაა, მთა გადასარევია, კარგი ადგილია, ასე, რომ მე წავალ პირველი და გავიყოლებ სამ მილიონ რუსს იქ საცხოვრებლად“.

ჟურნალისტ სოლოვიოვის შეკითხვაზე: „აფხაზებს რა ვუყოთ?“ ჟირინოვსკი პასუხობს: „ეგენი ისედაც ცოტანი არიან და დაიხოცებიან, დროა საჭირო. მანამდე კი მონებად გამოვიყენებთ“. შეკითხვა: „სამხრეთ ოსეთი?“ ჟირინოვსკი: „სამხრეთ ოსეთი ფრონტის ხაზი იქნება. ოსები ამ ხაზთან დაწვებიან!“

## ბეჩავი და მტარვალი, ანუ „მაჩო“ და მისი „ბლონდი“

რუსეთის პრეზიდენტის სკამზე წამოსკუპებული პუტინი თავის მმართველობის პირველ ხანებში თავს არ ზოგავდა, რათა დასავლეთის თვალში ცივილიზებული პარტნიორის იმიჯი მოეპოვებინა. ამ მიზნით იგი ხშირად მონაწილეობდა დასავლეთის სხვადასხვა ტელეგადაცემებსა და თოქ-შოუებში. ერთი ამგვარი ტელეგამოსვლა მას ჰქონდა ამერიკულ ტელეკომპანია CNN-ზე 2000 წლის სექტემბერში, მსოფლიოში კარგად ნაცნობ ლარი კინგის თოქ-შოუში. წამყვანის შეკითხვაზე: „გჯერათ ზეციური ძალების? პუტინმა უპასუხა: „მე მჯერა ადამიანის, მჯერა მისი კეთილი აზრების. მჯერა, ჩვენ ყველანი იმისთვის გავჩნდით, რომ სიკეთე ვაკეთოთ“.

ეს თვალთმაქცი ფარისეველი, რომლის კისერზეცაა ათეულ ათასობით მოკლული ბავშვი, ქალი და მამაკაცი, მანიაკი, რომელმაც მოსკოვის ცენტრში 2002 წელს გამოიყენა ქიმიური იარაღი - საბრძოლო მომწამლავი საშუალებები, ხოლო 2004 წელს ბესლანში ბრძანება გასცა დაეხოცათ 1500 ბავშვი, ცდილობდა და ცდილობს დღესაც გარე სამყაროს „კეთილი აზრების ადამიანად“ მოაჩვენოს თავი. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩენი, ინგუში და დაღესტნელი ხალხები სისხლით ზღავენ მისგან მოძღვნილ „სიკეთეს“.

იპოვა რა მორჩილი არსება დიმიტრი მედვედევის სახით, დასვა „დერჟავულ“ სავარძელში, მაგრამ არა მხოლოდ დასვა, სისხლშიც გასვარა და აგვისტოს ომის შემდეგ ხელებიც მას შეაწმინდა და აგრესიის ბრძანების გაცემაც მას აჰკიდა.

ბეჩავი დიმიტრიც რა ჩარა იყო, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ალიანსი თავისას ითხოვდა.

მტარვალი და „მაჩო“ ვლადიმერი, რომელიც სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ტელეეკრანებსა და ილუსტრირებულ ჟურნალებში ნახევრად შიშველი, შაშხანით ხელში და ბედაურზე ამხედრებული, დიდ კონტრასტს ქმნის ბეჩავი და ღვინით გამოლენჩებული დიმიტრის ფონზე, რომელსაც სამადლოდ სარკოზი და ბერლუსკონი დაატარებენ, ალკოჰოლიზმი ხომ რუსეთის ისტორიული სენია. ჰიტლერსაც ჰყავდა მორჩილი ძაღლი „ბლონდი“.

რამდენადაც სამარცხვინო არ უნდა იყოს, მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურას“ ტიპის ეს ვაი-პრეზიდენტი, სახელმწიფო მეთაურის როლის შესრულებას ცდილობს, მეტიც თავისი ჭკუით „დემოკრატიის“ მშენებლობის იმიტაციასაც ახდენს. რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრად თიკა კანდელაკს ნიშნავს. არჩევანიც ასეთი უნდა! რუსეთუმეებში თუ ვინმეს რაიმე ილუზია გააჩნია კრემლთან მიმართებაში, ამ დანიშვნით კარგად უნდა დაინახოს, თუ როგორი „ქართველია“ მოსკოვისთვის საჭირო და მისაღები.

პუტინ-მედვედევის რეჟიმს რუსეთის საზოგადოებრივ პალატაშიც, მთავრობაშიც და ოჯახშიც უმრავლოს „თიკა კანდელაკები“, მაგრამ საქართველო სხვაა და სრულიად სხვაა ეროვნება დაკარგული ბიომასა, რომელსაც პიროვნების აღარაფერი შერჩენია და თავის უბადრუკობას იმპერიის სამსახურსა და მორალის უარყოფაში მალავს, სირცხვილი მას!

რას უნდა ელოდოს ბეჩავისა და მტარვალისაგან ვინმე, მათი არჩევანი ხომ „თიკა კანდელაკია“.

## კელტი - „ჩვენ თქვენთან ერთად ვიდგებით“

კელტების ძალამ, გონებამ და დაუმორჩილებელმა სულმა ამერიკა მსოფლიოს ერთადერთ ჰიპერსახელმწიფოდ ჩამოაყალიბა.

2009 წლის ივ-

გაგრძელება მე-12 გვ.

დასაწყისი გვ. 11

ლისში თბილისს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ეწვია. მან უმნიშვნელოვანესი განცხადებები გააკეთა პარლამენტის დარბაზში, რითაც ჩრდილოეთ აგრესორს ნათლად დაანახა აშშ-ს პოზიცია. მან აღნიშნა „მე არა მხოლოდ ჩემი სახელით ვსაუბრობ, არამედ ჩემი პრეზიდენტის, პრეზიდენტ ობამას სახელითაც, ასევე ჩემი ქვეყნის სახელით. მე აქ ჩამოვედი ერთი მარტივი და პირდაპირი გზავნილის ჩამოსატანად ჩემი ხალხის სახელით: ამერიკის შეერთებული შტატები თქვენს გვერდით დგას უსაფრთხო, თავისუფალი, დემოკრატიული და კვლავ გაერთიანებული საქართველოს მოგზაურობაში“.

„ქალბატონებო და ბატონებო, ვიცი რომ ზოგიერთი წუხს და მე კარგად მესმის, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გადატვირთვის მცდელობა მოხდება საქართველოს ხარჯზე. ნება მომეცით ნათლად გითხრათ - ეს არ მომხდარა, არ მოხდება და არ შეიძლება მოხდეს“.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ პრინციპს, რომ სუვერენულ დემოკრატებს შეუძლიათ მიიღონ თავიანთი გადაწყვეტილებები, აირჩიონ პარტნიორები და საკუთარი ალიანსები“.

„ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს არ აღიარონ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

ჩვენ მივმართავთ რუსეთს პატივი სცეს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაში და მოიცავს ყველა საჯარისო ფორმირების გაყვანას წინა კონფლიქტურ პოზიციებზე და მთლიანად საქართველოდან“.

„ჩვენ ასევე ვმუშაობთ საქართველოსთან, რომ მოვახდინოთ თქვენი სამხედრო სფეროს მოდერნიზება. ძირითადი აქცენტი კეთდება წვრთნაზე, დაგეგმარებასა და ორგანიზებაზე. ჩვენ გვესმის, რომ საქართველო მიისწრაფვის ნატოსკენ და ჩვენ სრულად გიჭერთ მხარს ამ მისწრაფებაში.

„აშშ-ს არავითარი სურვილი არ გააჩნია შექმნას გავლენის სფერო ამ რეგიონში ან სადმე სხვაგან მსოფლიოში. ჩვენი მიზანია შევქმნათ მრავალპარტნიორული მსოფლიო, სადაც ერებს ექნებათ საერთო ინტერესები. ეს პარტნიორობა არ იქნება ვინმეს წინააღმდეგ, იგი იქმნება მათი ინტერესებისათვის, ვისაც სურს უფრო დემოკრატიული, აყვავებული და უსაფრთხო მსოფლიო“.

„ქალბატონებო და ბატონებო, დანაწევრებული საქართველო ვერ დაასრულებს ამ მოგზაურობას (იგულისხმება უსაფრთხო, თავისუფალი, დემოკრატიული, გაერთიანებული საქართველო) - გაერთიანებული საქართველო კი შესძლებს აასრულოს თქვენი წინაპრების ოცნებები და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თქვენი შვილების იმედები“.

**რუსული მარცხი**

9 სექტემბერს ქალანთაროვ-ლავროვის დიპლომატიურმა „სკოლამ“ მორიგი მარცხი განიცადა ნიუ-იორკსა და პარიზში.

ნიუ-იორკში სასტიკი დებატების შედეგად გაეროს გენერალური ანსამბლეის პლენარულ სხდომაზე დამტკიცდა თბილისის ინიციატივით მომზადებული რეზოლუცია. პირველად, 1990 წლის 11 დეკემბრის შემდეგ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საერთაშორისო დოკუმენტში აღინიშნა ტერმინი „ცხინვალის რეგიონი“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ზვიად გამსახურდიასა და იმჟამად რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის სტრატეგიულ მნიშვნელობას, როდესაც ასევე პირველად უკვე არა ეროვნულ მასშტაბში გამოყენებულ იქნა ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“.

63-ე ასამბლეაზე ქართულ პროექტს მხარი 48 ქვეყანამ დაუჭირა, 19 ქვეყანა წინააღმდეგი იყო, ხოლო 78 თავი შეიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან აფხაზეთის თაობაზე მიღებულ რეზოლუციაში ქართულ პროექტს მხოლოდ 14 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, პროგრესი, მართლაც შთამბეჭდავია.

რეზოლუცია ჰუმანიტარული ხასიათისაა და მოწოდებულია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მშობლიურ კერებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფისაკენ. რეზოლუცია ასევე გულისხმობს მონიტორინგის მექანიზმის ამუშავებას, რის შედეგადაც გაეროს გენერალურ მდივანს პანგიმუნს დაევალა მორიგ სხდომაზე წარმოადგინოს დეტალური მოხსენება, სადაც აღწერილი იქნება ის გზები და საშუალებები, რითაც უნდა აღსრულდეს მოცემული რეზოლუცია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტით დაიგმო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დემოგრაფიული ფონის ძალადობრივი შეცვლა, ადამიანების დევნა ეთნიკური ნიშნით, აქცენტი აღებულია ჰუმანიტარულ ეფექტზე და ალტერნატივად პრობლემის მოგვარებისა დასახულია მოლაპარაკებები ჟენევის ფორმატში.

№ 63/79 რეზოლუცია „საქართველოდან, აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილები უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ“. ეს მართლაც კატასტროფაა ქალანთაროვ-ლავროვის დიპლომატიისა, რადგან აღარანაირი ისტორიულ პერსპექტივას აღარ უტოვებს რუსეთის სამხედრო-სამრეწველო და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების ალიანსის ინტერესების გამომხატველ პუტინ-მედვედევის რეჟიმს, რომ მათ რაიმე სახის ჰუმანიტარული და პოლიტიკური გამართლება მოუპოვონ რუსეთის იმპერიის მიერ მრავალი წლის მანძილზე წარმოებულ ეთნიკური წმენდისა და რუსიფიკაციის სტრატეგიას.

№ 63/79 რეზოლუცია არა მხოლოდ ქართველებისთვისაა „სასარგებლო“, იგი აფხაზებისა და ოსებისთვისაც ხსნაა, რადგან დღეს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსიფიკაციაც დაგმობილია, რაც თავის ეფექტს ისტორიულ პერსპექტივაში შეასრულებს. მკითხველისთვის საინტერესოა ვინ იყო მომხრე და მოწინააღმდეგე ამ რეზოლუციის.

2009 წლის 9 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 63-ე სესიაზე საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვან № 63/79 რეზოლუციას მხარი დაუჭირეს: ანდორამ, მალტამ, ლიხტენშტეინმა, მონაკომ, ვანუატუმ, ლუქსემბურგმა, სენტ-ლუისმა, ჩეხეთმა, სან-მარინომ, ალბანეთმა, აზერბაიჯანმა, ესტონეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, ბელგიამ, დანიამ, უნგრეთმა, შვედეთმა, უკრაინამ, რუმინეთმა, ავსტრიამ, სლოვაკეთმა, ბოსნია-ჰერცოგოვინამ, ავსტრალიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, საფრანგეთმა, ბულგარეთმა, ხორვატიამ გერმანიამ, იტალიამ, ფინეთმა, საბერძნეთმა, ისლანდიამ, ნორვეგიამ, ირლანდიამ, ესპანეთმა, იაპონიამ, ახალმა ზელანდიამ, ჩერნოგორიამ, პორტუგალიამ, სლოვენიამ, ნიდერლანდებმა, უგანდამ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ, ყოფილი იუგოსლავური რესპუბლიკა მაკედონია, საქართველო.

წინააღმდეგი იყო: ალჟირი, ზიმბაბვე, ეთიოპია, ლაოსი, მიანმა, ვიეტნამი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ინდოეთი, შრი-ლანკა, ირანი, სირია, ბოლივია, კუბა, ეკვადორი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ბელორუსი, სომხეთი, რუსეთი.

პუტინ-მედვედევის რეჟიმმა პარიზშიც მნიშვნელოვანი მარცხი განიცადეს. პირველად ქართულ-რუსული კონფლიქტის მსვლელობისას რუსეთს დაეთქვა კონკრეტული ვადა, 2010 წლის 25 იანვარი, როდესაც მან უნდა შეასრულოს ევროსაბჭოს № 1633 და № 1647 რეზოლუციები, კერძოდ რუსეთმა პატივი უნდა სცეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, გაიყვანოს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჯარები, გააუქმოს მათი „დამოუკიდებლობის“ ცნობის აქტები, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. რუსული დელეგაციის მიმართ ევროსაბჭო პირველად 2000 წლის შემდეგ მიმართავს სანქციით მუქარას, კერძოდ 72 დეპუტატი უკვე მოითხოვს რუსული დელეგაციისათვის ხმის უფლების შეჩერებას. ეს პრაქტიკული ნაბიჯი თუ განხორციელდა, რუსეთი რეალურად აღმოჩნდება „ახალი რეალობის აღიარების პოლიტიკის“ კრახის წინაშე.

კრემლმა ძლიერი პოლიტიკური დარტყმა აღმოსავლეთიდანაც მიიღო. იაპონიის პარლამენტის ორივე პალატამ საბოლოოდ დაამტკიცა 1982 წელს მიღებული კანონი „ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემების გადაწყვეტის ხელშემწყობი სპეციალური ზომების შესახებ:, რითაც კურილიის ჯაჭვის 4 კუნძული საბოლოოდ სცნო იაპონიის განუყოფელ ნაწილად. რუსეთმა აღმოსავლეთშიც წააგო.

**სკვითის სისინი**

აგვისტოს ომის წლისთავზე დიმიტრი მედვედევმა ვლადიკავკაზში განაცხადა - „სუსტები მსოფლიოს რუკიდან ქრებიან“. აი, რუსული დესპოტიის სტრატეგია საუკუნეთა განმავლობაში, რომ ახორციელებდა და ახორციელებს დღესაც. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია მისი მიზანია.

დათვისთვის ტყეში საკუთარი უბნის საზღვრები - წმინდათაწმინდაა. დათვი ამ საზღვრებს ხეებზე ბრჭყალებით მონიშნავს და დროდადრო ამოწმებს, თუ მოსაზღვრე ხეებზე სხვა დათვის ნაჭდეურები დაბალი ან სუსტია, იგი იკავებს ახალ, დამატებით ტერიტორიას და მეზობელი დათვის თავდასხმას აღარ გაურბის, რადგან დაბალი და სუსტი ნაჭდეურებით ხვდება, რომ მეზობელი დათვი მასზე სუსტია.

რუსეთის დესპოტიზმი დათვის ამ „პოლიტიკას“ მისდევს, მაგრამ ერთია ტრადიცია და მეორე შესაძლებლობები. დემოგრაფიული კრიზისი და ყოველწლიურად მოსახლეობის თითქმის მილიონით შემცირება რუსეთის ავანტიურისტულ ამბიციებს ადამიანურ რესურსებს აცლის. ამ ბანალური მოვლენითაა განპირობებული, რომ რუსეთის ისტორიაში პირველად არმიაში დაიწყეს ნასამართლობის მქონე წვევამდელთა გაწვევა, სადღეისოდ თითქმის 30 000 ამგვარი პირია დღეს ჯარისკაცი, რეალურად კი ეს ადამიანები „საზარბაზნე ხორცის“. ფუნქციას შეასრულებენ, როდესაც კრემლი აამოქმედებს ინტერვენციის კანონს, დღეს კი მათი სისხლი ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა დაიღვაროს - ინგუშეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში ახალი საბრძოლო ცეცხლი ღვივდება, კრემლის მიერ გაშლილ სახელმწიფო ტერორსა და რეპრესიებს მძლავრი სახალხო წინააღმდეგობა ხვდება, მეტიც, პრაქტიკულად ყველა საველე მეთაური აცხადებს, რომ ეს მიწა „დარ-ელ-ხარბია“, ანუ ომის მიწაა. ეს კი ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა მოსკოვს სულ უფრო და უფრო მეტი შეხვდება. კრემლს არაფერი აქვს შესათავაზებელი კავკასიელთათვის. არც ეკონომიკური და არც სოციალური რეფორმები დღეს რუსეთში არ მიმდინარეობს, პირიქით, იგი სულ უფრო და უფრო ეფლობა კრიზისში, იზრდება უმუშევრობა, რუბლი დევალვაციას განიცდის, რუსეთი მალე კვლავ დაუბრუნდება ელცინისდროინდელ მდგომარეობას, როცა როგორც თევზი ბადეში გახვეული იქნება ვალებში. რამდენიც არ უნდა იკაპრიზოს პუტინ-მედვედევის რეჟიმმა, მას მოუწევს უკან დახევა, საქართველოს კრემლი ვერ წაშლის, ეს მის ძალებს აღემატება.

**ცვლილებები**

„ცვლილება სიცოცხლის კანონია, ინტერნაციონალური ცხოვრების, ასევე ეროვნულისა და პირადისა. თუკი ჩვენ წინაღობებს ვუდგამთ ყველა ცვლილებას, ჩვენ გარდაუვალს ვხდით, რომ ცვლილება განხორციელდება ძალადობით ან აფეთქებით“. ჯონ ფოსტერ დალესის ეს სიტყვები 1951 წელს ითქვა. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს, როგორც წარსული, ასევე აწმყოც. დღეს საქართველოს ისტორიული პერსპექტივა სრულადაა დამოკიდებული არსებული პოლიტიკური კულტურისა და სოციალური სისტემის შეცვლაზე. ის, რომ არსებული მოდელის პირობებში სახელმწიფოს მართვის მექანიზმზე ეფექტური სოციალური კონტროლი არ არსებობს, ეს დიდი საფრთხის მატარებელია ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის, განსაკუთრებით კი რუსული აგრესიის პირობებში.

თქმა არ უნდა, რომ „ქალბატონი ბრილიანტებით“ (ნინო ბურჯანაძე), „ექიმი, მეწარმე, ლიდერი“ (დავით გამყრელიძე) ან,“ვაკელების სიმპატია“ (ლევან გაჩეჩილაძე) და სხვა იმავე კალიბრის,პოლიტიკურ ველზე მოხეტიალე ინდივიდუუმები, მაინც და მაინც დიდს ვერაფერს სთავაზობენ საზოგადოებასა და ერს, გარდა უფრო მეტად თავისუფალი ბაზრისა, აბსოლუტში აყვანილი ბაზრისა.

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ არსებული პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი ინსტიტუტები მოქალაქეებს, ყველას და არა მიზერულ უმცირესობას, არ აერთიანებენ საკუთრების შესახებ კანონთა ერთიან სისტემაში, რომ ყველა და არა მიზერული უმცირესობა იყოს აღჭურვილი ინტეგრირებული ეროვნული ბაზრის მიერ შთანთქმადი თანამშრომლობის, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაფართოებისათვის აუცილებელი საშუალებებით. სხვა გზა, ამ გზის გარდა არ უზრუნველყოფს აქტივებისა და სამეურნეო საქმიანობის აგენტთა პროდუქტიულ ურთიერთქმედებას საკუთრებითი ურთიერთობის სტანდარტული ნორმების პირობებში. ეს აქტივებს ორ პარალელურ სივრცეში - მატერიალურსა და სამართლებრივში აცხოვრებს, შესაბამისად, აქტივები შეიძენენ კრედიტების უზრუნველყოფის საშუალებას. ამას ორგანულად შეერწყმება სოციალური პარტნიორობისა და შესაბამისად, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალური განხორციელება, რაც გახდება საქართველოს ეფექტურ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის მაუწყებელი. ეფექტური ეკონომიკა და სოციალური დემოკრატია მყარ ბაზისს შეუქმნის დემოკრატიული პოლიტიკური ინსტრუმენტებისა და ინსტიტუტების ფორმირებას, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

რეკლამირებული ოპოზიციონერების ოპორტუნიზმი ნათლად აჩვენებს, რომ მათაც, ისევე როგორც მ. სააკაშვილის რეჟიმს მაინც და მაინც თავი არ შეუწუხებიათ აგვისტოს ომის გაკვეთილების გასაანალიზებლად.

რუსულმა აგრესიამ, აგვისტოს ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ერი არის მთავარი გარანტი ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაცვისა. ვერავითარი პროფესიული არმია, რაც არ უნდა კარგად იყოს აღჭურვილი, ვერანაირად ვერ შეცვლის ერის ნებას, მის თავდადებას მშობლიური მიწისათვის. ქვეყნისთვის კი მხოლოდ იდეით გაერთიანებული ერი იბრძოლებს. 9 საუკუნის წინ შოთა რუსთაველმა ზუსტად განსაზღვრა ჩვენი ერისთვის ბრძოლის მთავარი გაკვეთილი:

„კაცო ძალსა ნუ იქადი, ნურცა მოჰკვეხ ვითა მთვრალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის კრა, თუნდა ხმალი“.

აგვისტოს ომის გაკვეთილებიდან ერმა ზუსტი დასკვნები უნდა გამოიტანოს და ამ ისტორიულ ბრძოლაში გაიმარჯვოს.

# რეჟიმის ცინიზმი



მას შემდეგ, რაც ე.წ. „გაერთიანებული ოპოზიცის: მიერ წარმატებით განხორციელდა ქვეყანაში არსებული სახალხო პროტესტის მუხტის დაცლა, როცა ათეულ ათასობით ბრძოლისათვის მზადმყოფი ქართველი მოტყუებული აღმოჩნდა, სააკაშვილის რეჟიმმა მორიგი ცინიკური აქტი განახორციელა - სანატორიუმის ტიპის პატიმრობიდან გაანთავისუფლა რეჟიმის ბოროტმოქმედების ერთ-ერთი მსხვერპლის, სანდრო გირგვლიანისა და მისი მებრძოლი დედის ირინა ენუქიძის მკვლელები.

თუ რამდენად ანტიჰუმანური და ანტისამართლებრივია მ. სააკაშვილის რეჟიმი, შეიძლება მოყვანილ იქნას ამ 25 წლის წინ განვითარებული მოვლენები პოლონეთში. მით უფრო, რომ პოლონეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ფრიად ზრუნავს მ. სააკაშვილის პრესტიჟზე და რეკლამას არ აკლებს მას.

1981 წლის 13 დეკემბერს პოლონეთში სამხედრო რეჟიმი დამყარდა. პოლონელმა კომუნისტებმა პირწმინდად წააგეს სოციალურ-პოლიტიკური პაექრობა თავისუფალ პროფკავშირულ მოძრაობა „სოლიდარობასთან“ და ერთადერთი ხსნის გზა გენერალ ვოიცეხ იარუზელსკის სამხედრო დიქტატურაში დაინახეს. თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობა“ აიკრძალა, ლეხ ვალენსა და სხვა ლიდერები ინტერნირებული იქნენ (მათ ბრალი არ წაუყენეს, რადგან სასამართლო არ სურდათ, მაგრამ ორი წლით თავისუფლება შეუზღუდეს). ამ ვითარებაში პოლონელ მშრომელთა ინტერესების დაცვა იტვირთეს ზოგიერთმა კათოლიკე მღვდლებმა, რომელთა შორის ყველაზე მებრძოლი და უკომპრომისო იყო ეჟი (გიორგი) პოპელუშკო - ქ. ვარშავის წმინდა სტანისლავ კოსტიკის ეკლესიის წინამძღვარი. მისი ქადაგებები რადიკალურად ანტიკომუნისტური ხასიათით გამოირჩეოდა, იგი ყოველთვის პირველი მიდიოდა გაფიცული მშრომელების მხარდასაჭერად, მთელს პოლონეთში ქუხდა მისი ქადაგება „მამულისადმი სიკეთის შესახებ“, მაგრამ მოულოდნელად, 1984 წლის 19 ოქტომბერს, როდესაც ქ. ბიდგოშჩადან ქ. ვარშავაში ბრუნდებოდა, დაბა ტორუნთან ახლოს, იგი გაუჩინარდა. სამი დღე მის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მოულოდნელად რადიო „თავისუფალი ევროპამ“ გაავრცელა მისი პირადი მძღოლის ვალდემარ ხროსტოვსკის განცხადება, რომ ეჟი პოპელუშკო რამდენიმე უცხო პირმა გაიტაცა. სასწრაფოდ პოლონეთის იმჟამინდელმა სამხედრო დიქტატორმა გენერალმა ვ. იარუზელსკიმ ამ ფაქტს „ბანდიტიზმის აქტი“ უწოდა, „დემოკრატ პრეზიდენტ“ მ. სააკაშვილივით კი არ დაიწყო ანგლობა, მეტიც პოლონეთის ვიცე პრემიერ-მინისტრმა მალინოვსკიმ მთავრობის სახელით დადო პირობა, რომ „საქმე გამოძიებულ იქნებოდა ბოლომდე“, ვიცე პრემი-



ერ-მინისტრ გიორგი ბარამიძის მსგავსად ცინიკურად კი არ დაიწყო „ბაასი“, რომ რა მოხდა აგერ ლონდონშიც კი მოკლეს სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა ბრაზილიელი, მაგრამ არც ერთ პოლიციელს ამაზე არავითარი პასუხი არ უგიაო.

პოლონეთში გამოძიებამ სწრაფად გამოავლინა ამ გატაცებაში მონაწილენი. 1984 წლის 25 ოქტომბერს დაპატიმრებულ იქნენ პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრები: კაპიტანი გჟეგოჟ პიოტროვსკი, ლეიტანენტები ვოლდემარ ხმელევსკი და ლეხ პეკალა, რამდენიმე დღეში დააკავეს მათი უშალო უფროსი პოლკოვნიკი ადამ პეტრუშკა. დაკავებულებმა აღიარეს, რომ მათ გაიტაცეს ეჟი პოპელუშკო და მიუთითეს ადგილი, სადაც მოკლული გადააგდეს. მათ მიერ მითითებულ ადგილზე ნანახი იქნა ეჟი პოპელუშკოს ხელფეხშეკრული ცხედარი, რომელსაც ცემისაგან დაზიანებული ჰქონდა შინაგანი ორგანოები, მოტეხილი ჰქონდა ფეხი, გადამტვრეული ჰქონდა ხელის თითები, ჩამტვრეული ჰქონდა კბილები, თმები დაგლეჯილი. ასე დაწვრილებით იმის გამო აღვწერთ ამ დანაშაულს, რომ ნათელი იყოს, თუ რაოდენ დიდი მსგავსებაა პოლონეთში და საქართველოში მომხდარ დანაშაულში.

მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, პოლონეთში სამართალი შედგა, 1985 წლის 8 თებერვალოს მოსამართლე არტურ კუიავას თავმჯდომარეობით, პროკურორ პეტრაჟინსკის მონაწილეობით გაიმართა სასამართლო, სადაც დამნაშავეებს მიესაჯათ:

კაპიტან პიოტროვსკის 25 წელი,
ლეიტენანტ ხმელევსკის 25 წელი,
ლეიტენანტ პეკალას 15 წელი,
მათ უფროსს, პოლკოვნიკ პეტრუშკას 14 წელი.

ამ ოფიცრების სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-4 განყოფილების უფროსი გენერალი ზენონ პლატეკი დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პოსტიდან გათავისუფლდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალი მილევსკი, რომელიც გაირიცხა პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიის (კომუნისტური) ცენტრალური კომიტეტიდან.

საქართველოში კი რა მოხდა, მკვლელები სამ წელიწადში გარეთ გამოვიდნენ ციხედ წოდებული სანატორიუმიდან, ხოლო მათ არც ერთ უფროსს, არც დეპარტამენტის უფროსს და არც მინისტრის მოადგილეს ღერი თმაც კი არ ჩამოვარდნიათ.

აი ასე, ლიბერალ-დემოკრატიული რეჟიმის დროს, არც სამართალმა იკანონა და არც ჰუმანიზმმა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ რიგითი მოქალაქე სანდრო გირგვლიანი მოკლეს 2006 წლის 28 იანვარს ოქროყანაში. მის გატაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობდნენ:

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე დათა ახალაია (იგი ამჟამად თავდაცვის მინისტრის პოსტზეა დაწინაურებული).
შსს გენ. ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე
შსს პრესცენტრის უფროსი გურამ დონაძე
კონსტიტუციის უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ოლეგ მელნიკოვი
„კუდის“ ოფიცრები: გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე.

„სასჯელს“ მხოლოდ ეს უკანასკნელი ოთხეული იხდიდა. შეწყალებული ოთხეული იმავე დღეს მიიღო კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, რასაც საზოგადოების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

**ქეთევან ჭანტურია**

## შეცდომების გასწორება

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№21) გამოქვეყნებულ ლალი ბარძიმაშვილის ლიტერატურულ ესსეში „ნაკაცარები“, „ნადირკაცები“ და ერისკაცის პრობლემა“ (გვ.5) გაიპარა ორი სამწუხარო შეცდომა: მესამე სვეტის I აბზაცის მე-12 სტრიქონში „... ანიჭებენ“ ნაცვლად უნდა იყოს „ანქიქებენ“. ამავე სვეტის მე-3 აბზაცის მე-13 სტრიქონში „დამარტოხელებულები აპირებენ“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ასრულებენ“.**

**მე-8 გვერდზე გამოქვეყნებული სტატიის „მხოლოდ ამ გზით!“ - ანოტაციაში, ავტორის, გიორგი ქართველიშვილის ემიგრაციაში წასვლის თარიღად მითითებული 1975 წლის ნაცვლად, უნდა იყოს 1973 წელი.**

**რეზო ადამიას სტატიაში „ქრისტიანული საოცრება „სუმელას“ მონასტერი“ (გვ. 14) პირველი სვეტის მე-4 აბზაცის მე-20 სტრიქონში „ქუფრა ხეობა... მთელის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მთები, ხოლო 30-ე სტრიქონში (ამავე აბზაცის“... ათას წელზე“, ნაცვლად უნდა იყოს „ათას ხუთასი“.**

**გაპარული შეცდომების გამო ბოდიშს ვუხდით ავტორებსა და მკითხველთ.**

## სამძიმარი

ინსულტით მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი დისიდენტის გიორგი ქართველიშვილის ძმა

**კუკური ქართველიშვილი**

რის გამოც გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს.

## თავისუფალი ტრიბუნა

# სასუფეველს შეემატა წმინდანი...

2009 წლის 7 იანვარია დღეს, ბრწყინვალე დღესასწაული ქრისტეშობისა, მაშინ კი... ავადსახსენებელი 1992 წლის 7 იანვარი იყო... ეხლაც ჩამესმის ჩემი არაბუნებრივი ბღავილი და მკრეხელური სიტყვები, (შემინდოს უფალმა) - თუ კი შობის დღესასწაულს იგი ქართულ მიწაზე ვერ შეხვდება, მაშინ ღმერთიც არ ყოფილა ამ ქვეყანაზე... არ მრწამს არაფერი..

„ბედი მდევარის“ გარდაუვალობას ვერ უარვყოფ, მაგრამ აქვე მინდა მოვუხმო სიტყვას - „დაცვა“, რაც პირდაპირი გაგებით იხმარება და ადამიანის, (შემდგომ სხვა რამისაც). როგორც პიროვნების, ავისგან დაცვას გულისხმობს. კონკრეტულ შემთხვევაში ერმა ვერ აღასრულა ეს მისია. ვერ დაიცვა, ვერ დაუდგა გვერდით, ვერ გადაეფარა... მტრის საჯიჯგნი გახდა არა მარტო ის თავად, არამედ მამულიც თვისი, ასე უპატრონოდ დარჩენილი.

ეს მარტოსული - ბატონი ზვიად გამსახურდია გახლდათ... რომლისთვისაც უპირველესი იყო, ენა, მამული, სარწმუნოება.

ზვიადი პირველად სკოლაში ბატონ კონსტანტინეს მიუყვანია, და როცა შინ წასასვლელად გაემზადა, წუთით შეყოვნებულა, - სიტყვადამარცვლით უთქვამს, - „ყურადღება მიაქციეთ ამ ყმაწვილს, მან საქართველო უნდა გაანთავისუფლოს“.

აუხდა ბრძნული წინასწარმეტყველება, მაგრამ ამ შედეგამდე მეტად ძნელი, ეკლიანი გზით იარა მისმა პირმშომ, და არ ყოფილა არც ერთი გადახვევა, არც შეცდომა მიზნის მიღწევაში, და რომც ყოფილიყო, უშეცდომო მხოლოდ ღმერთია ქვეყანაზე, ბატონი ზვიადი კი, ღმერთი არა, ღმერთკაცი იყო. როგორც იესო ქრისტე ახასიათებს თავის მისიას პილატეს სამსჯავროს წინაშე, - „ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვევლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი“, (იოანე 18, 17) ზვიადიც ასევე თვლიდა თავის მოვლინებას მისი მრავალტანჯული ქვეყნის გადასარჩენად. ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

სოხუმში ცხოვრების ბედნიერ წლებში, მოსკოვიდან მეგობარი ექიმი, ანა მირჩენკო მესტუმრა. ის მოსკოვის ცნობილ, სერბსკის სახელობის საავამდყოფოში მუშაობდა, სადაც იმ დროს მთავარი ექიმის მოადგილე ქართველი, ვინმე (სახელი არ მახსოვს) შენგელაია ყოფილა, რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომლებში. ერთ დღეს, როცა ის საოპერაციოსკენ მიემართებოდა, მასთან ერთ-ერთი ექიმი მივარდნილა და აღშფოთებულს უთქვამს, - „დოქტორ, ტამ ვაშეგო ზემლიაკა უბივაიუტ!“ მთელი საავადმყოფო დამდგარა შენგელაიას გვერდით და ბარბაროსი ექიმებისაგან, რომელთაც ზევიდან ჰქონდათ დაკვეთა, გამოუხსნიათ „ზემლიაკი“. მე შეგნებულად არ მინდა აღვწერო, თუ რა ვითარებაში და რა სახით ხდებოდა ეს, „ზემლიაკი“ კი...

ბატონი ზვიადი გახლდათ... არა ერთხელ მდგარა იგი შემდეგაც გარანტირებული სიკვდილის წინაშე, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია.

იგი მზად იყო თავის ერისა და ქვეყნისთვის ეტვირთა წამება, და იტვირთა კიდეც ბოლომდე. „ღმერთსა თაყუანის ეც, რამეთუ წამებაი იესოსი არს სული იგი წინასწარმეტყველებისაი“. (გამოცხ. 19.10) სწორედ ასეთი, პრომეთესეული წინასწარმეტყველება ბუდობდა მასში, და ამით წარმართავდა პირად ქმედებებს, დაწყებულს უკომპრომისო ბრძოლით, და დამთავრებულს საოცარი თვითშეწირვით. უფრო გვიან სწორედ იმისთვის გამოეშურა იგი გროზნოდან საქართველოში, რათა აეცილებინა ქვეყნისთვის შორსმჭვრეტელურად დანახული ნგრევა-პარტახი, თუნდაც სიცოცხლის ფასად... და ბედისწერის გარდუვალობა რომც არ ყოფილიყო ბუნებაში, ბატონი ზვიადი თავად შექმნიდა მას, რათა ზვარაკად მიეტანა თავისი სიცოცხლე მამულის საკურთხეველზე, ისე როგორც უფალმა ჯვარზე, და თუ უფალმა იესო ქრისტემ ამ სასტიკი ჯვარცმით სიკვდილი დაამარცხა, ბატონმა ზვიადმა, ფიზიკური და სულიერი ტანჯვით გოლგოთა გამოვლილმა, - ქართული სულიერება იხსნა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, და ყველას არ ძალუძს, მაგრამ ჩვენ რითი გადავუხადეთ?... იმით, რომ წყეული ოცდაათი ვერცხლი ავაჩხრიალეთ...

- შედეგი, - შემზარავი მკვლელობა...

- შედეგის შედეგი, - დღევანდელი საქართველო...

მაგრამ მისი ეს ბოლო ნაბიჯი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, (გროზნო-საქართველო). არანაირად არ შეიძლება მივაწეროთ რაღაც გაუთვლელობას, მით უმეტეს - შეცდომას, პირიქით ეს იყო მისხალ-მისხალ, წინასწარმეტყველურად გათვალისწინებული, გააზრებული თვითშეწირვა, რითაც უპრეცედენტო მაგალითს, უკვე საბოლოოს, აძლევდა ერს, რადგან, -“ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი (დარჩა) და იუდა რამდენი“. (ზ. გამსახურდია) ბატონი კონსტანტინე ბრძანებდა „ქართველობა ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე“, რომელთა შორის, უპირველესი თანამედროვე ეპოქაში, მისი პირმშო გახლდათ. „და ემოსა სამოსელი, შეღებილი სისხლით“. (გამოცხ. 19. 11. 15) მის ნათელ შუბლსაც ასევე დასდინდა წმინდა სისხლი, და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, - „ზეცად აღევლინე, (აღევლინა მ. ბ. ) არ გიგუეს მიწაზე“, რადგან - „არ გამქრალა, ქვეყნად შური და მტრობა“, (ზ. გ. ) ფიზიკური მოკვდინება მისი, და ზეცად აღვლინება, არამც და არამც შემთხვევითი არ ყოფილა. სხვა უამრავ ფაქტორთა შორის, ერთ-ერთი



უმნიშვნელოვანესი მომენტიც უძღოდა ამას წინ, რამაც განაპირობა ეს უდიდესი ტრაგედია ტრაგედიათა შორის, რასაც უფრო ის ამძაფრებს, რომ „თანამოძმეთა“ ღალატით აღსრულდა იგი.

დაცემულ სოხუმში, აფსუა სეპარატისტებმა და სისხლიანი იმპერიის მაღალჩინოსნებმა თათბირ-დიალოგზე მიიწვიეს სამეგრელოში მყოფი ბატონი ზვიადი, და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფასად დაუყოვნებლივ კანონიერ პრეზიდენტად დაბრუნდა შესთავაზეს.

ბატონი ზვიადი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე უპასუხა, - „ეს არ მოხდება, არასოდეს“.

„თუ არა, მაშინ-სიკვდილი“, მიუგეს მას უზოდიშოდ.

„ნუ თუ სიკვდილი, იყოს სიკვდილი“, - შეუვალი ხმით განაცხადა ბატონმა პრეზიდენტმა და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

განა ეს თავგანწირვა არ იყო? კიდევ რანაირი სახით არსებობს დასტური სასიკვდილო მზაობისა? მისთვის ხომ ორაზროვნად არ უთქვამთ, ცალმხრივად განუცხადეს, - თუ ჩვენს წინადადებას არ მიიღებ, გარდაუვალი სიკვდილი გელისო, რაც მან უყოყმანოდ მიიღო. ეს იყო - „ცოტაც და ველარ მიხილავთ“, (იოანე 16) რაშიც გარეშე მტრებს მის ახლო გარემოცვაში მყოფი უამრავი იუდაც უწყობდა ხელს, „ჯვარს აცვი“ -ს აღსასრულებლად, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, გოლგოთას გზაზე მარტო მავალს, უკანასკნელ წუთამდე ეტვირთა სულიერი და იდეური პატრიარქობა ერისა, და ამით აღესრულებინა მისი გადარჩენის უდიდესი მისია, რაც განსაკუთრებით წარმოაჩენს მის ქრისტესმიერ თვითშეწირვას.

გროზნოდან გადმოსვენებული ბატონი ზვიადის სვეტიცხოველის დიდებულ ტაძარში დაბრძანებაც სიმბოლური იყო.

- უტა არსაკიძეს, ხუროთმოძღვრების ამ საოცარი ძეგლის შემქმნელს,

- მარჯვენა მოკვეთეს...

- ზვიად გამსახურდიას, დაუღალავი ბრძოლით საქართველოს განმათავისუფლებელს,

- შუბლი განუგმირეს...

მცხეთიდან თბილისში მისი გადმოსვენების დღეს უჩვეულო, სიტყვით აღუწერელი რამ ხდებოდა. ეს იყო კიდევ ერთხელ, სამეგრელოს ეპიზოდის შემდეგ, (ალბათ ბოლოც) გამოხატვა სრულიად საქართველოს იმ უდიდესი სიყვარულისა, რაც წამებულმა პრეზიდენტმა დამსახურებულად მოიპოვა ერში. იყო ზღვა ხალხი, და ზღვა სიყვარული... უდიდესი გლოვა, და უდიდესი რისხვა მაშინდელი ხელისუფლებისადმი, რომლის უბინძურესი ნამუშევრის წინაშეც ვიდექით... სვეტიცხოვლის შემოგარენი ხომ ვერ იტევდა მგლოივარეთ, მაგრამ საოცარი იყო რაოდენობა ადამიანთა, რომელნიც მცხეთიდან თბილისამდე გზის აქეთ-იქეთა მხარეს გამოფენილი, ცრემლითა და ღვინით, მამა-პაპურად უკანასკნელ გზაზე აცილებდა პირველ, ეროვნულ და მარადიულ პრეზიდენტს, რომელსაც, როგორც იქნა ეღირსა, თავის ნაწამები სხეულითა და სულით მიბარებოდა მშობლიურ მიწას...

ეს არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავის, თუნდაც ეროვნული გმირის გლოვა-დატირება...

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა განდიდებისა, (დამსახურებულად), როგორსაც ჩვენი წინაპრები წმინდანების მიმართ აღავლენდნენ, და იმიტომ, რომ მასში, სატანასთან შიშველი ხელებით მებრძოლში, ერთდროულად იყო განივთებული დემეტრეს თავდადება, წმინდა გიორგის განუმეორებელი ვაჟკაცობა, თევდორეს გაუტეხელობა, საოცარი მაღალსულიერება, ცოტნეს უმაგალითო სიყვარული მოყვასთა, და ბოლოს, - დიდი ილიასმიერი შუბლშეშვერა „მოძმეთა“ ტყვიისთვის, ანუ - ტანჯულისა და განწირულის ჯვარცმა ქრისტესმიერი... და არ მეგულება ადამიანი, რომელიც შესძლებს აღწეროს მისი უკანასკნელი დღეების ფიზიკური, (ტყეღრეში სიარული) განსაკუთრებით კი სულიერი წამება, რისი მოზიარეც მას ამ ქვეყნად არავინ ჰყავდა... თავქვეშ ამოდებული ბიბლია კი იგივე იყო, იესომ ძმარი რომ მიიღო და თქვა, - „აღსრულდა“.

ასობით ათასი ხალხი, ამ აღსრულების წინაშე მუხლებზე დაჩოქილი, ხან თავჩაქინდრული, გაოგნებული გახლდათ მისი მუხანათურად გაწირვის გამო, ხან თავაწეული და უსაზღვროდ ამაყი - მისი სულიერი სიმაღლის, სიწმინდის, მიმტევებლობის და... მისი უკვდავების მარადისობის გამო...

... და შეუერთდა ზეციერებას კიდევ ერთი უდიდესი წმინდანი საუკუნისა.

... მაშ როგორ რჩება მის ზეციურ ნიშაში ადგილი, რომელიც მოკლებულია წმინდანის ნიშნებს?

ზვიად გამსახურდია უახლესი საუკუნის, და ჩვენი თანამედროვეობის წმინდანია უთუოდ, თავის გამორჩეულად მოწამებრივი სიცოცხლით, და მით უფრო, - ვერაგთა მიერ - შემზარავი მოკვდინებით, რაზეც კითხვის ნიშნის დასმა - მკრეხელობაა.

მინდა დავამთავრო მუხლმოყრილი, საკუთრივი თხოვნით, და არა მარტო. იმ ზღვა ხალხის სახელით, რომელიც გროზნოდან ბატონი ზვიადის ჩამობრძანებას აღფრთოვანებული შეხვდა ზუგდიდში, და იმათიც, ვინც ვერ შეხვდა მიზეზთა გამო. უფრო გვიან კი სვეტიცხოველიდან მთაწმინდამდე ლამის ფეხით მიაცილა მისი წმინდა და უხრწნელი ცხედარი. (ექიმ თამარ დეკანოისიძის სიტყვები გაზეთ „მესამე თვალი“-დან, - „ჩემი მუშაობის ოცდაათწლიან პრაქტიკაში მსგავსი უხრწნელი ცხედარი არ მინახავს“).

მე იმ ასიათასობით ხალხის სახელით ვითხოვ, -

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია II-ის კურთხევით,

და წმინდა სინოდის დადგენილებით, -

უდიდესი მამულიშვილი, ჭეშმარიტი, წამებული ქრისტიანი, საქართველოს პირველი ეროვნული პრეზიდენტი.

- ზვიად გამსახურდია,

შეირაცხოს... - წმინდანად.

**მარეხ ბაღიშვილი**,
დევნილი ჟურნალისტი სოხუმიდან
7 იანვარი 2009 წ.

## თავისუფალი ტრიბუნა

# ილია ჭავჭავაძის მცდარი ინტერპრეტაციების გამო



რუსეთში მოქმედებს რუსეთის ფედერაციის საერთო სახალხო დიპლომატიის საკმაოდ სოლიდური ორგანიზაცია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში აწყობს საერთაშორისო ფორუმს, რომლის მუშაობაში საქართველოც ღებულობს მონაწილეობას. ამ ფორუმზე სახალხო დიპლომატიის ძალზე ბევრი საინტერესო და აქტუალური საკითხი იხილება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, მწერალთა, პედაგოგთა და სხვა ინტელექტუალთა ძალისხმევით. ერთ-ერთ ასეთ საერთაშორისო ფორუმზე გადიოდა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხი აფხაზებთან მიმართებაში. ამ ფორუმზე მიწვეული ვიყავი მეც.

... ერთმა პირველმა გამომსვლელთაგანმა საქართველოდან, მლიქვნელობითა და პირფერობით აღტყინებულმა ტონი მისცა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ერის მამად ითვლება იმის გამო, რომ მან მაღალი შეფასება მისცა რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში გატარებული სტუდენტობის ოთხ წელიწადს. ყველასათვის ცნობილია დიდი ილიას „მგზავრის წერილები“ და მასში მოცემული პეტერბურგში ოთხწლიანი სწავლების მნიშვნელობა და რუსული სინამდვილის შეფასება. აი ეს სიტყვებიც, - „იცი მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია. პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია... მეორე - ცხოვრების საძირკველია, ბეწვის ხიდია, ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმისთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს“, რომელშიც გამოიკვანძება ხოლმე „ცხოვრების კვირტი, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაც“.... აკი ილია იქვე წერს, „ყველასათვის კი არაო“... მხოლოდ იმათთვის, „ვინც შენ (4 წელიწადი, - რ. ქ.) რიგიანად მოგიხმარიაო.

... დაახლოებით ასეთივე აზრი განავითარეს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმაც... მე ვერ მოვითმინე დიდი ილიას ასეთი დაუფასებულობა და ვითხოვე სიტყვა, რომელშიც ძალზე ხმამაღლა გამოვხატე ჩემი აღშფოთება. დავიწყე იქიდან, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში ბევრი სტუდენტი იყო სხვადასხვა დონის, სხვადასხვა ქვეყნიდან, მ. შ. საქართველოდანაც, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული ყველა არ გამხდარა-მეთქი ერის მამად...

ილიას საფიქრალი იყო ცხოვრების ისეთი კვირტი, რომელიც მშვენიერ მტევანს მოისხამდა და არა ძაღლყურძენას. ილია, ახალგაზრდა პატრიოტი, თავისი ერის მოყვარული, მისი „ბედითა და უბედობით“ დაინტერესებული, ასე დიდი ხნით განშორების შემდეგ, როცა ბრუნდებოდა სახლში, საქართველოში, ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მიიღებდა მას სამშობლო და რას ეტყოდა იგი მას. ილიას, პეტერბურგიდან მომავალს, ჯვრის უღელტეხილის გადმოსახედიდან თავში უტრიალებდა საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის და ბრძოლის დიდი და ფართო გეგმა.

... დიახ, ნამდვილად, ახალგაზრდა ილიამ წარმოსთქვა ეს ბრწყივნალე ზემოთციტირებული სიტყვები, დიახ, პეტერბურგმა მისცა მას „ცხოვრების საძირკველი“, როგორც თვითონ წერს, მაგრამ ის მაშინ არ ყოფილა ერის მამა, არამედ ილია გახდა წლების განმავლობაში ხალხის სამსახურში, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის და ბრძოლის სათავეში დგომით. ილია ჭავჭავაძე იყო პოეტი, ბელეტრისტი, კრიტიკოსი, საბანკო საქმეების დიდი მცოდნე, მაღალი დონის საზოგადო მოღვაწე, დამცველი და მოამაგე და სწორედ ამით დაიმსახურა მან ერის მამის მაღალი წოდება. ილია ჭავჭავაძემ განათლება მიიღო პეტერბურგში. იქ მან ბრწყინვალედ შეისწავლა რუსული სინამდვილე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, (ჩემმა ამ ბოლო სიტყვებმა განსაკუთრებით დაძაბა დარბაზი) მაგრამ მისი რუსეთში ყოფნის დიდი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ პეტერბურგში ევროპისკენ გაჭრილი ფანჯრიდან“ ქროდა ევროპული ცივლიზაციის სიო, რომელსაც ხარბად ნთქავდა და ითვისებდა მაშინდელი სტუდენტი-ახალგაზრდობა, მ. შ. ჩვენი მომავალი ერის მამა, - ილია ჭავჭავაძე, რომელიც სწორედ 4 წლის განმავლობაში ევროპიდან მიღებული ცივლიზაციის მნიშვნელობისა და ღირსების შესახებ წერს თავის „მგზავრის წერილებში“, სადაც, ამავე დროს ოსტატურად, სატირისა და ირონიის ძლიერი, ლიტერატურული ხერხების გამოყენებით საინტერესოდ გვიხატავს მაშინდელ რუსულ სინამდვილეს რუსი ოფიცრის პორტრეტის გამოყენებით. ოფიცრის პორტრეტის გამოყენებით ამხელს უაზრო, სულელურ, მაგრამ ქედმაღლურ სამხედრო ცხოვრებას კავკასიაში. იგივე აზრები აქვს გამოთქმული რუსეთის სამხედრო სამსახურთა შესახებ ბევრ რუს მწერალს (ლერმონტოვს, დიდ ა. ს. პუშკინს და სხვებს) აქვე მინდა პარალელი გავავლო ცნობილი რუსი მხატვრის ფედოტოვის მიერ დახატულ ფერწერულ ნიმუშთან, - „ანკორკიდევანკორ“, სადაც ასევე ნაჩვენებია სამხედრო მოსამსახურის ცხოვრების უაზრობა, რომელიც მთელი დღეები ზის რა უსაქმურად ყაზარმაში, დაკავებულია ფინია ძაღლის, ანკორის წვრთნითა და თამაშით. რუსი ოფიცერი უსაქმურობისაგან ვინ იცის რას „საქმიანობდა“. რუს ოფიცერს, რომელიც ლარსის სასტუმრო ოთახში მიადგა ილიას, სახეზე ეტყობოდა, რომ „ღვინისა და არაყს ძალიან დაახლოებით იცნობდა“. მან რაკი გაიგო, რომ ილია ქართველი იყო მის წინაშე დაიწყო საუბარი საქართველოს შესახებ „მეცნიერული ენით“. მისი აზრით საქართველო გაუნათლებელია და უხსნის მას, თუ რა არის განათლება. „ეს არის დაკეტილ ფანჯრებზე ფარდებჩამოფარებული, ე. ი. დაბნელებული ოთახი, უკვე შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი, განათლებაც ეგ არის“. ახსნა „ბრძენმა“ ოფიცერმა.

შემდეგი პრობლემა, რომლის ახსნაც მოინდომა რუსმა ოფიცერმა, დაიწყო კითხვით, - როგორ მიმდინარეობს საქართველოში ცივლიზაცია? ამის შესახებ ვერაფერი მოახსენა ილიამ იმ „მიზეზით“, რომ დიდიხანია არ ყოფილა თავის ქვეყანაში. აქაც თვითონ ოფიცერმა „ნახა“ გამოსავალი და გამოხატა კითხვაში, - რამდენი გენერალი გყავთ ქართველებს? „იქნებ ერთი ოცი მოგროვდეს“, - უპასუხა ილიამ. „ოციოდეო“, გაიმეორა აღფრთოვანებულმა ოფიცერმა. „ამ ერთ მუჭა ხალხში და ოციოდე გენერალი“ ეს ციფრი გენერლებისა დიდ ცივლიზაციად ჩათვალა და დაიწყო მართლმადიდებელი რუსეთის ქება-დიდება იმისათვის, რომ სადაც ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივლიზაციას“. გათვალა კიდეც, - 70 წელი 20 გენერალი, რომ 40 იქნება კიდევ 70 წლის შემდეგ!?.. სწორედ იმ პერიოდში, როცა ილია პეტერბურგში ცივლიზაციისა და კულტურის ევროპიდან მონაბერი სიოთი სულდგმულობდა, რუსეთში მაშინ ცივლიზაციის საზომად, კრიტერიუმად, გენერალთა რაოდენობა ითვლებოდა.

ილია ჭავჭავაძის თანამოსაუბრე ოფიცერი კიდევ უფრო შორს მიდის. ის თურმე „მეცნიერული თვალით“, განსაკუთრებული ყურადღებით უთვალთვალებდა და აკვირდებოდა ჩვენს ქვეყანას, სადაც თურმე მას თაობებისთვის დაუვიწყარი აღმოჩენები გაუკეთებია, - გაუთავებელი შაქრის ქურდებისგან გადაურჩენია ქვეყანა. საშაქრეში ჩასვმდა ბუზებს, თავს ახდის შემთხვევაში ბუზები ამოფრინდებოდნენ, პატრონი მიხვდებოდა, რომ შაქარი მოპარულია. დარბაზში მსხდომთ სახეებზე დიდი უკმაყოფილება ეტყობოდა. ვილაცამ დაიძახა „რეგლამენტიო“, მაგრამ მე საათს დავხედე და ხმამაღლა ვთქვი, - 5 წუთი კიდევ მაქვს და ჩემი აზრი დამამთავრებინეთ-მეთქი. რუსმა ოფიცერმა დიდი სინანულით აღნიშნა, რომ არყის ქურდობის წინააღმდეგ ვერაფერი მოიგონა, - იხრჩობიან შიგ ბუზებიო.

საქართველოში თურმე ასეთი გამოგონების ფასი კაპიკია, მაგრამ საფრანგეთში ძვირი ყოფილა. რუსი ოფიცერი იმედოვნებს, რომ მალე გაიხსნება „ბუზების მაღაზია“ და აი, ყიდვა-გაყიდვის სისტემაც სახეზეა. ასე გადაწყდება ქვეყნის ეკონომიკური პრობლემა, - ამტკიცებდა „მეცნიერი“ ოფიცერი.

პოდპორუჩიკი გამოუტყდა ილიას, რომ ის არ აპირებდა წამოსვლას საქართველოში, მისი ნიჭის გამოყენება უნდოდა თავის ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ იგი დაარწმუნეს, რომ ამ „ახლად დაჭერილ“ ქვეყნებს „უფრო განათლება უნდოდა. აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან“... და ა. შ.

რუსი ოფიცრის „მეცნიერული“ საუბრის ფონზე, მეორე გამყოლი მგზავრის, გლეხი მოხევე ლელთ ღუნია სალი აზროვნების მწვერვალზე იდგა. მისთვის ძვირფასია თავისუფლება, ანუ პრინციპი, - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“... მოხევის ეს სიტყვები დაედო საფუძვლად ილიას მოღვაწეობას, მის როლს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, რასაც შეეწირა კიდეც მისი სიცოცხლე. ტიციან ტაბიძე ამბობდა, - „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნე ილიამ გამოიგონა, ასე შექმნა იგი და თავისი სისხლით შეადუღაბა“.

ილია ჭავჭავაძე იყო ამ ეპოქის მბრძანებელი, ამან გახადა იგი ერის წინამძღვრად, ერის მამად.

ამ სიტყვებით დავამთავრე ჩემი გამოსვლა. დარბაზი უკმაყოფილო, გასუსული იჯდა, თუმცა აქა-იქ გაისმა ხელების ტყაპუნიც.

**როზა ქანთარია**
დოცენტი

## გამოცდათა მიზანი – ცხონება სულისა ჩვენისა

***„ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან“***
***(იოანე 11,4)***

ყოველ ნაბიჯზე - ავადმყოფობა, განსაცდელი, ვაება! ძე ხორციელს არ ძალუძს მათგან გაქცევა, მწუხარება არსებითად ჩვეულებრივი რამაა და, იმავ დროს, ფრიად იდუმალიც. მწუხარების ჟამს ხშირად ბუნებრივად იბადება კითხვა: - რატომ? პასუხს სავსებით, სჩანს, იმქვეყნად მივიღებთ; მაგრამ ნაწილობრივ, აქაც შევიცნობთ ჩვენზედ გარდამოვლენილ განსაცდელთა მიზანსა და დანიშნულებას.

მიზანი რომ შევიცნოთ, უნდა გვახსოვდეს: - ჩვენი უბედურება არა მარტო ჩვენ გვეხება, არამედ მისი მოქმედება ბევრად უფრო შორს განეფინება. ლაზარეს სიკვდილსა და აღდგომაში ჩვენ ზემოთქმულის დასტურს ვხედავთ. მაცხოვრის მიერ ბეთანიაში აღსრულებულ ამ სასწაულს ოთხგვარი მოქმედება და მნიშვნელობა ჰქონდა. იგი საჭირო იყო თავად მაცხოვრისთვის „რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან“ (იოანე 11,4). იგი საჭირო იყო მოციქულთათვის: „მე მიხარის თქუენთვის, რაჲთა გრწმენეს ჩემი“ (იოანე 11.5).

უწყოდა მაცხოვარმა, თუ რა ძლიერ ზემოქმედებას მოახდენდა ეს სასწაული მოციქულებზე და თქვა: „მე მიხარის“, ყველაზე მეტად ეს მოვლენა, ცხადია, ლაზარეს დებს შეეხო, და როდესაც დატირებული საყვარელი ძმა დაუბრუნდათ, იესუ ქრისტეს ღვთაებრიობის რწმენაც მიეცათ. და პირველად გააცნობიერეს, თუ ვინ შეიძლება იყოს იგი ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის. და ბოლოს, ეს მწუხარება, ეს სასწაული საჭირო იყო თავად იუდეველთათვის. მოვიგონოთ მაცხოვრის სიტყვები: „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ერისა ამისთვს, რომელი გარე-მომადგს მე, ვთქუ, რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოანე 11,41-42).

ამ გზით, მართასა და მარიამს თავს დატეხილი მწუხარება სასიკეთოდ უნდა შეჰხებოდა ხალხს, რომელნიც ამა შემთხვევის გამო ბეთანიაში შემოკრებილიყო.

ზეგარდამოვლენილი გამოცდის მნიშვნელობა აქ ახალი აზრით წარმოჩნდება. იგი ახალი სანთლითაა გაცისკროვებული. შესაძლოა, ჩვენ არ ვჩვეულვართ მასში მწუხარებას ვჭვრეტდეთ. თუმცა განსაცდელები და მწუხარებანი, ჩვენს დროშიაც, იგივე, განსაზღვრული მიზნის მატარებელია: - ადამიანთა სულების ხსნა. უფლისათვის, ყოველი განსაცდელი მხოლოდ საშუალებაა, რათა წარმოაჩინოს კაცთა წინაშე თავისი მაცხოვნებელი მადლის ყოვლისშემძლეობა. მაშ, გამხნევდით, ძმანო! დაკაცდით, განმტკიცდით იმედით, ისწავლეთ „მწუხარებათა მიერაც იქებოდით“, რამეთუ „მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რაჲთა იყვნეთ სრულ და ყოვლად ცოცხალ და არარაჲთ ნაკლულევან“ (იაკობ. 1,4).

# ნუგზარ მგალობლიშვილის მხატვრობა



საქართველოს მხატვართა კავშირისა და მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (IFA) წევრი ნუგზარ მგალობლიშვილი მუშაობს ქანდაკებაზე, ფერწერაზე, მჭედლობაზე, გრაფიკასა და სცენოგრაფიაზე. იგი იყო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვარი, საქართველოს უმაღლესი და უზენაესი საბჭოს დეპუტატი. იგი გახლავთ ცნობილი ქართველი დისიდენტი,. საბჭოთა კავშირის დროის ავანგარდისტი მხატვარი, რომელიც უარყოფდა სოციალისტურ რეალიზმს და არასოდეს ასრულებდა სახელმწიფო დაკვეთას. მან, ცნობილ საბჭოთა ავანგარდისტებთან ერთად, 1975 წელს მოსკოვის ერთ-ერთ პარკში, მოაწყო თავისი ავანგარდისტული ნახატების გამოფენა. საბჭოთა კგბ-მ ავანგარდისტი მხატვრების გამოფენა „ბულდოზერებითა“ და „სამასვალკებით“ ვანდალურად დაარბია და გაანადგურა იქ გამოფენილი ნახატები, რამაც მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მისი ნახატები დაცულია აშშ-ს, ავსტრალიის, პოლონეთის, გერმანიის, რუსეთის, ლატვიის და საქართველოს კერძო კოლექციებსა და გალერეებში.



















დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: http://ganmatavisuflebeli.webs.com
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com

**რედაქტორი** ლეილა ცომაია